ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ბექა ადამაშვილი

ჩინეთ რუსეთის ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობები
(ბრძოლა რეგიონული ჰეგემონობისთვის ?)

ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიკოლოზ სამხარაძე

ასისტენტ პროფესორი

2019წ.

სარჩევი

შესავალი.....3

თავი 1. ჩინეთი და საბჭოთა კავშირი (ისტორიული კონტექსტი).....4

თავი 2. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები 12

თავი 3. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა.....22

თავი 4. რუსეთის საგარეო პოლიტიკა 14

თავი 5. ჩინეთი და დასავლეთი 17

თავი 6. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია.....35

თავი 7. ჩინეთ აფრიკის ურთიერთობები 42

თავი 8. ჩინეთი და სამხრეთ ამერიკა.....44

დასკვნა.....47

გამოყენებული ლიტერატურა :.....49

დანართი :.....50

შესავალი

ჩემ მიერ არჩეული კვლევის ძირითადი მიზანია შევეცადო და წარმოვაჩინო ისეთი ორი გიგანტი ქვეყნის თანამშრომლობა ერთმანეთთან, როგორიცაა ჩინეთი და რუსეთი. ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა მნიშვნელოვანია როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თუნდაც მხოლოდ ის, რომ ამ ორი ქვეყნის მასშტაბი ერთად აღებული დიდია თითქმის ყველა სხვა კონტინენტზე ერთად, მათი რესურსები, შესაძლებლობები გასათვალისწინებელია მთლიანი მსოფლიოსთვის. ამ ქვეყნების გადადგმულ ნაბიჯებს, რადგანაც ორივე ქვეყანა მიუხედავად მრავალმხრივი შეთანხმებებისა, მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან და რიგ საკითხებში რადიკალურად განსხვავებულებიც კი არიან.

საყოველთაოდ აღიარებული აზრია, რომ სამეცნიერო, პოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით ჩინეთი გლობალურ პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა უკვე ორ ათწლეულზე მეტია. ჩინეთის წინსვლა აისახება ეკონომიკურ ზრდაში, სამხედრო ძლიერებასა და დიპლომატიურ გავლენებში.

თემის ძირითადი განსახილველი საკითხია რუსეთი და ჩინეთი - მათ მიერ წარმოებული პოლიტიკა. რათქმაუნდა ორივე ქვეყანას გააჩნია თავისი გეოპოლიტიკური ხედვა და მისწრაფებები, თუმცა თანამშრომლობის ამ ეტაპზე ორივე მხარისთვის ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანია ღრმა და ყოვლისმომცველი თანამშრომლობა.

პირველი ოფიციალური კონტაქტი ჩინეთსა და რუსეთს შორის შედგა 1680 -იან წლებში, როდესაც მხარეებმა ვერ გაიყვეს ორ ქვეყანას შორის საზღვარი. თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ, 1689წ. მათ შორის უთანხმოება აღმოიფხვრა „ნერჩინსკის“ ზავით. (მხარეებმა მონიშნეს საზღვრები)

ეს იყო ამ ორ ქვეყანას შორის პირველი ოფიციალური კონტაქტი, რაც ჩემი აზრით საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან ისეთი ტრადიციული, „ჩაკეტილი“,

განსხვავებული ქვეყნისთვის როგორიც ჩინეთია, იმ დროს საკმაოდ დიდი გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგანაც ამ პერიოდში, მას საერთოდ არ აქვს კავშირი ევროპის არცერთ სახელმწიფოსთან, ამერიკასთან , გარდა ვატიკანისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ წარმოადგენდა და აცხადებდა ჩინეთის არაფორმალურ სავაჭრო მისიებს ევროპაში, ხოლო ეს ზავი ასევე წარმოადგენდა პირველ „ფორმალურ“ კავშირს ჩინეთსა და ევროპას შორის.

თავი I. ჩინეთი და საბჭოთა კავშირი (ისტორიული კონტექსტი)

1928 წელს გენერალ სიმუსმა ჩან კაი-შიმ ჩამოაყალიბა ჩინეთის ცენტრალური მთავრობა, თუმცა სხვადასხვა საველე მეთაურების და შეიარაღებული დაჯგუფებების აჯანყებები, ისევ გრძელდებოდა. ამ პერიოდიდან ხელისუფლებისთვის ბრძოლაში კომუნისტები ერთვებიან. 1936 წელს დაიწყო იაპონიის აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ. ჩინეთ-იაპონიის ომი, მეორე მსოფლიო ომის კონტექსტში მოექცა, რომელიც 1945 წელს დასრულდა იაპონელების სრული კაპიტულაციით. ამას მოჰყვა 1947-49 წლების

სამოქალაქო ომი, ჩან კაიშის მთავრობასა და კომუნისტებს შორის, რომელშიც ამ უკანასკნელებმა მაო ძედუნის მეთაურობით მოიპოვეს საბოლოო გამარჯვება.

1949 წლის 1 ოქტომბერი ოქროს ასოებითაა შესული თანამედროვე ჩინეთის ისტორიაში. ათწლეულების მანძილზე "გაწელილი" საგარეო თუ საშინაო ომები ჩინეთის ტერიტორიაზე სრულდება. სამოქალაქო ომში გომინდანის (ჩინეთის სახალხო ნაციონალური პარტია) ხელისუფლების დამარცხების შედეგად, ქვეყნის სათავეში მოსული მაო ძედუნი, პეკინის თიანანმენის მოედნიდან აცხადებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების შესახებ. ჩინეთში მყარდება სოციალისტური მმართველობა. იმ დღიდან მოყოლებული, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მართავს ქვეყნის კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირი წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ე.წ ,,უფროსი ძმის'' სტატუსს. ჩინეთში აქტუალური იყო დევიზი, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირის დღევანდელი დღე, ჩინეთის ხვალინდელი დღე იყო. მიბაძვის პროცესს ახლდა მთელი რიგი რეფორმებისა და ხედვების ბრმად გადმოტანაც, რაც სრულყოფილ პროგრესს აფერხებდა, თუმცა ჩინეთი საკუთარ შეცდომებზე სწავლობდა. საბჭოთა კავშირის სისტემამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა არამხოლოდ ჩინეთის კომუნისტურ პარტიაზე, არამედ მთლიანად ჩინეთის საზოგადოებაზე. იმ დროს, როდესაც ჩინეთი კომუნისტურ მმართველობაზე გადავიდა, საბჭოთა კავშირის რუსეთი, წყალბადის ბომბის გამოცდას აწარმოებდა. ალბათ საკმაოდ ნათელია, თუ ამ პერიოდის განმავლობაში, რაოდენ დიდი იყო განსხვავება ამ ორ ქვეყანას შორის, როგორც ეკონომიკური კუთხით, ასევე განვითარების კუთხითაც. თუმცა მაო ძედუნის მმართველობა, მხოლოდ და მხოლოდ დროებითი შეფერხებაა ჩინეთის აღორძინებისთვისა და რეფორმებისთვის, რომელიც მომავალში გადაიქცა, როგორც „სოციალიზმი ჩინური სპეციფიკით".

განსხვავებით საბჭოთა კავშირისგან, სადაც მოსახლეობის მდიდარი ფენა განუწყვეტილი რეპრესიების მსხვერპლი გახდა და ე.წ ,,გაკულაკების'' პროცესი დაიწყო, ჩინეთის პოლიტიკურმა წრეებმა გაცილებით გონივრულად, მოქნილად იმოქმედეს და მდიდარ ჩინელებს საკუთარი ფუნქცია გამოუძებნეს ახალ პოლიტ-ეკონომიკურ ფორმაციაში. ჩინეთის მმართველი გუნდის ძალისხმევამ დადებითი

რეზულტატი გამოიღო, სახელდობრ, მდიდარმა ჩინელებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს საზოგადოების კონსოლიდაციის პროცესში, იქცნენ მტკიცე, მნიშვნელოვან ჯაჭვის რგოლად ახალი ტიპის ჩინურ ეკონომიკურ წყობაში. ამრიგად, სისტემა დამყარებული იყო საზოგადოების სხვადასხვა ფენის ერთ მუშტად შეკვრაზე, არსებული პოტენციალის მობილიზაციაზე.

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ ჩინური მოდელი სრულად არ უარყოფდა საბჭოთა კავშირის სისტემას. საბჭოთა გაკვეთილები ჩინელი პოლიტიკოსებისთვის მაგალითად იქცა. მაო ძედუნმა 1955 წლის ივლისში განაცხადა, რომ სავსებით შესაძლებელი იყო საბჭოთა კავშირის მიერ დაშვებული შეცდომების არდაშვება, მეტიც, ოპტიმისტური პერსპექტივიდან, ჩინეთს ჰქონდა კოლექტივიზაციის განხორციელების ბევრად უფრო ეფექტური მექანიზმები და პოტენციალი.

ჩინეთის მმართველმა ძალამ ინტელექტუალების მიმართ გონივრული პოლიტიკა აწარმოა. მმართველი პარტიის წევრები უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბალანსის საკითხს. ჩინეთის ეკონომიკის განვითარების საქმეში ინტელექტუალურ ელიტას გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშა, რათა ჩანასახშივე მომსპარიყო ყოველგვარი შესაძლო გართულება, რაც ქვეყანას ქაოსამდე მიიყვანდა.

მაო პატივს სცემდა კოლეგების აზრებს, თუმცაღა არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული ენთუზიაზმით თავისგან განსხვავებული შეხედულებების მიმართ, მაგრამ უკან იხევდა ისეთ საკითხებშიც, რაშიც განსაკუთრებულად კომპეტენტური არ იყო.

ამრიგად, განსხვავებით სტალინური საბჭოთა კავშირისგან, სადაც რეჟიმის დიდი ბელადი იყო მთავარი ინტელექტუალი და აზროვნების სივრცე მარქსიზმ-ლენინისტური მოძღვრების ფარგლებში იყო ჩაკეტილი, ჩინური კომუნიზმი უარს აცხადებდა დოგმატურ შეზღუდვებზე და ფართო გასაქანს აძლევდა თავისუფალ აზროვნებას, რაც ახალი პოლიტ-ეკონომიკური განვითარების მთავარ საფუძვლად უნდა ქცეულიყო.

ახალი პოლიტ-ეკონომიკური კონტექსტის ფორმირების პროცესში ჩინეთის მმართველი პარტია განიხილავდა საბჭოთა კავშირის მოდელს და ცდილობდა მისი

სისტემის ადაპტირებას, ჩინეთის რეალობაზე მორგებას. მმართველ ელიტას არ სურდა, არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად საბჭოთა კავშირის სისტემის სრული კალკირება მომხდარიყო. როგორც ზემოთ იქნა ნახსენები, ჩინური და საბჭოთა მენტალობა მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან მიუხედავად საერთო იდეოლოგიური პრინციპებისა. ჩინელები მიიჩნევდნენ, რომ ხისტი, დოგმატიკას დამორჩილებული პოლიტიკური კურსი ქვეყანას დააზარალებდა, ამიტომ კომუნიზმის საფარქვეშ ცდილობდნენ უნივერსალური იდეოლოგიის შექმნას, რომელიც ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს უპასუხებდა. აღნიშნულ იდეოლოგიას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ადგილობრივი ადათები, მენტალიტეტი, შეხედულებათა ჩარჩო და მსოფლმხედველობა, სწორედ ამიტომ არ ერიდებოდნენ ჩინელი კომუნისტები საბჭოთა კავშირის სისტემის მკვეთრ კრიტიკას. 1956-1957 წლებში განხორციელებული რეფორმებისას ჩინელი კომუნისტები სკრუპულოზურად სწავლობდნენ სისტემის ბუნებას და ცდილობდნენ, მხოლოდ პოზიტიური მხარეები გადმოეტანათ ჩინურ სინამდვილეში.

ჩინელი კომუნისტები მიიჩნევდნენ, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირის მიერ აკრეფილი მაღალი განვითარების ტემპისა, ეს ყველაფერი განპირობებული იყო ქვეყანაში არსებული რესურსებითა და ეკონომიკური მოცემულობით. მაოს კიდევ ერთი ცნობილი სიტყვის მიხედვით, არსობრივად, საბჭოთა და ჩინურ მსოფლმხედველობას საერთო მონოლითური ღერძები ჰქონდათ, თუმცაღა ჩინელებმა მოახერხეს და თვისებრივად ახალი სისტემა ჩამოაყალიბეს. მაო ძედუნს მიაჩნდა რომ ჩინეთის ეკონომიკის განვითარებაში მაქსიმალური წვლილი უნდა შეეტანა სოფლის მეურნეობასა და მსუბუქ მრეწველობას, უნდა გაზრდილიყო აღნიშნული დარგების პროდუქტიულობა. შედეგმაც არ დააყოვნა, 1956 წლის ივნისში მსუბუქი მრეწველობის ხვედრითი წილი ეკონომიკაში მკვეთრად გაიზარდა.

ჩინეთის მმართველი პარტია მყარად იდგა აზრზე, რომ ყველაფერი საბჭოთა კავშირისგან არ უნდა გადმოეღოთ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ არსებული რესურსების ერთი ძალის ხელებში მოთავსებას, რითაც გამოირჩეოდა საბჭოური კომუნიზმი. პირიქით, ჩინელებმა მკაფიოდ განაცხადეს, რომ

ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს დიდი როლი უნდა შეესრულებინათ რესურსების განკარგვის პროცესში. ფაქტობრივად, ეს დეცენტრალიზაციის მაგალითია. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაციის თემატიკასთან დაკავშირებული დისპუტები დიდხანს გრძელდებოდა, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული 1957 წელს.

ჩინეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს მდიდარი, მაგრამ ამავე დროს არაერთგვაროვანი ისტორია გააჩნია. სხვადასხვა ეტაპებზე ორ ქვეყანს შორის მეგობრულ კავშირებს, ენაცვლებოდა ორმხრივი ურთიერთობების გაუარესება.

მე-20 საუკუნამდე ჩინეთსა და რუსეთს შორის კონტაქტები საკმაოდ მწირი იყო. ამ პერიოდიდან, აქტიურ ფაზაში გადადის მათ შორის თანამშრომლობა. 1949 წლიდან, მას შემდეგ რაც მაო ძედუნის კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა ქვეყნის ხელისუფლებაში და დაარსდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, პეკინის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტი იყო მაქსიმალური დაახლოების პოლიტიკა საბჭოთა კავშირთან. გასული საუკუნის 50-იან წლებში ორივე სოციალისტური ბანაკი ახლოს იყო, ერთობლივი სტრატეგიული კავშირის ჩამოსაყალიბებლად, მაგრამ 60-იან წლებში საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობები საგრძნობლად გაუარესდა და ომის ზღვრამდეც კი მივიდა. 1969 წლის მარტში, მხარეებს შორის სადაო კუნძულ დამანსკზე მოხდა შეიარაღებული დაპირისპირება, რის შემდეგაც ოფიციალურმა პეკინმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა, მაგრამ მოლაპარაკებების შედეგად, მოსკოვისა და პეკინის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები, შეთანხმდნენ საზღვრების გადახედვაზე, ხოლო 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამანსკის კუნძული ჩინეთის იურისდიქციის ქვეშ გადავიდა.

1978 წლიდან ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის დაწყების შემდეგ, პეკინსა და მოსკოვს საკმაოდ ფრთხილი ურთიერთობები გააჩნდათ, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლისა და რუსეთის ფედერაციის ჩამოყალიბების შემდეგ, ორ ქვეყანას შორის იწყება თანამშრომლობის ახალი ეტაპი, რაც ორმხრივ და მრავალხრივ ფორმატში ურთიერთსასარგებლო და სტრატეგიულ-პარტნიორულ კავშირებში გადაიზარდა. ჩინეთი და რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე ხშირ შემთხვევაში

თანმხვედრ პოზიციებს აფიქსირებენ (მათი ხედვები იყოფა საქართველოსთან დაკავშირებით. პეკინი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას). თუ ადრე, რუსეთისთვის ჩინეთი უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორად განიხილებოდა, უკანასკნელ წლებში, გამოიკვეთა ორ დედაქალაქს შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში აქტიური კონსოლიდირების და ამ გზით მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვების მცდელობა. ეს, ბუნებრივია, მათ შორის ურთიერთობების ტრანსფორმაციაზე და უპრეცედენტო აღმავლობაზე მეტყველებს.

1978 წლის მონაცემებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას რამდენიმე ათწლეული დასჭირდა. ეკონომიკური ჩავარდნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ცივილიზებული სამყაროსგან მტკიცედ დისტანცირება, ერთგვარი დიპლომატიური იზოლაცია გახლდათ.

21-ე საუკუნეში ჩინეთის ეკონომიკა ერთ-ერთ ყველაზე მზარდ, დინამიკურ ეკონომიკადაა მიჩნეული, მეტიც, იგი მსოფლიოს რიგით მეორე ყველაზე წარმატებულ ეკონომიკადაა მიჩნეული. ამჟამად ჩინეთი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სავაჭრო ქვეყანაა და მისის ექსპორტ-იმპორტის პოლიტიკას უდიდესი გავლენა აქვს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ჩინეთის მზარდი ძალა კონკურენციას უწევს თვით ამერიკის შეერთებულ შტატებს გლობალური დომინაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე ოპერირების საკითხებში. ჩინეთის არმია აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს, მის აღჭურვილობაში შედის ქიმიური იარაღი და სწრაფად მზარდი, თანამედროვე ფლოტი.

ეკონომიკურ აღმავლობამდე ჩინეთმა იწვნია არაერთი ეროვნული ტრაგედია, მიიღო დიდი ტრავმები. 1950-60-იან წლებში ჩინეთმა გამოიარა შიმშილობის დიდი ტალღა, რაც მომაკვდინებელი შიმშილობის სახელითაა ცნობილი კაცობრიობის ისტორიაში. შიმშილობამ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება, სამოქალაქო ომი და ანარქია გამოიწვია, ტერორის აღმავლობამ კი ჩინური საზოგადოება გახლიჩა, უდიდესი დარტყმა მიაყენა ტრადიციულ კულტურას, აღნიშნული უმძიმესი პროცესი კი მაღალ ეშელონებამდე

ავიდა, სადაც ე.წ ,,ტოპ ლიდერთა ისთებლიშმენთი'' ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეება.

შიმშილობა და პოლიტიკური ქაოსი სუფევდა იმ პერიოდში, როცა მაო ძედუნი ჩინეთის კომუნისტური პარტიის თავმდჯომარე იყო. მას ერთპიროვნულ ლიდერად მიიჩნევდნენ, რომლის ჩანაცვლებაც არავის შეეძლო. ავტორიტეტული სამეცნიერო აზრის მიხედვით, მაოს დროინდელი ჩინეთი რეგრესს განიცდიდა აბსოლუტურად ყველა მიმართულებით. ეს იყო კულტურის, პოლიტიკის, ეკონომიკის დაქვეითების ხანა. ჩინეთის გლობალური აღმავლობის ეპოქა 1980-იანი წლებიდან იწყება. მისი სულისჩამდგმელად დენ სიაოპინი მიიჩნევდა, რომელიც მსგავსად მაო ძედუნისა უპირობო ლიდერად მიიჩნევდა, ამჯერად თანამედროვე ეპოქაში.

ერთი რამ რაც არ შეცვლილა ჩინეთის ისტორიაში დღემდე გახლავთ ჩინეთის კომუნისტური პარტიის სრული დომინაცია. ის არასდროს კარგავდა მართვის სადავეებს, მიუხედავად მის წინააღმდეგ წარმოებული უამრავი საპროტესტო გამოსვლისა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტები და გლეხები, პროფკავშირული გაერთიანებები; მოხდა ამბოხებები ეთნიკური ნიშნითაც, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა აღნიშნული პოლიტიკური ძალა მუდამ ახერხებდა სიტუაციის მართვასა და გამარჯვების მოპოვებას.

ნიშანდობლივია, რომ ჩინეთი და რუსეთი გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრები არიან. 2001 წელს მოსკოვში მხარეებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, მეგობრული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის შესახებ, რაც წარმოადგენს სამართლებრივ ფუნდამენტს ჩინეთსა და რუსეთს შორის სანდო, პარტნიორული და სტრატეგიული კავშირების ჩამოყალიბებისთვის. გარდა ამისა, პოლიტიკური კონტაქტების გასამყარებლად, არანაკლებ აღსანიშნავი ფაქტი გახლავთ, პეკინისა და მოსკოვის ინიციატივით, იმავე 2001 წელს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნა. მის შემადგენლობაში აგრეთვე შევიდნენ ცენტრალური აზიის ქვეყნები (ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი), თურქმენეთის გარდა.

ურთიერთქმედება ცენტრალურ აზიის რეგიონის უსაფრთხოების საკითხებზე, რომელიც განლაგებულია ჩინეთისა და რუსეთის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სამხედრო ობიექტების მახლობლად, წარმოადგენს პეკინსა და მოსკოვს შორის თანამშრომლობის ცალკე სფეროს. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული პეკინსა და მოსკოვს შორის ხელი მოეწერა 250-ზე მეტ სამთავრობათაშორისო და უწყებათაშორისო შეთანხმებას.

თავი II. ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები

2010-2014 წლებში ორ ქვეყანას შორის გაფორმდა მთელი რიგი ხელშეკრულებები, ენერგორესურსების (ნავთობი, ბუნებრივი აირი, ნახშირი), ელექტროენერგეტიკის, ბირთვული ენერგიის, ეკონომიკის, ტექნიკის, ჰუმანიტარული გაცვლების, კულტურის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში. დასრულდა ნავთობსადენის „სკოვოროდინო-დაცინი“-ს მშენებლობა. გარდა ამისა, მხარეებს შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩინეთის ჩრდილოაღმოსავლეთ რაიონებსა და რუსეთის შორეული აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ციმბირს შორის თანამშრომლობას. მხარეები ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურების მოდერნიზაციას საზღვრისპირა რაიონებში.

ჩინეთ-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დროულად გამოვიდა საერთაშორისო ფინანსური კრიზისის ნეგატიური გავლენიდან. 2014 წლის მონაცემებით, ორმხრივი სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობამ 95 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ნიშანდობლივია, რომ 2014 წლის მაისში მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ღირებულებამ შეადგინა 400 მილიარდი აშშ დოლარი. აღნიშნული უპრეცედენტო გარიგების მიხედვით, 2018 წლიდან რუსეთი 30 წლის განმავლობაში, ყოველწლიურად მიაწვდის ჩინეთს 38 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს.

ამასთან, 2013 წელს ჩინეთის სახელმიფო ნავთობკომპანია “CNPC“-სა და რუსულ კომპანია “როსნეფტს“ შორის ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, რომლის ღირებულება 270 მილიარდი აშშ დოლარია, 25 წლის განმავლობაში რუსული მხარე უზრუნველყოფს 260 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტს ჩინეთის მიმართულებით.

სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის დღევანდელი ტემპების შენარჩუნების შემთხვევაში ნავარაუდებია, 2020 წლისთვის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ბრუნვის მოცულობის ზრდა 200 მილიარდ აშშ დოლარამდე.

ჩინეთის ეკონომიკის განვითარება დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, პირდაპირ კავშირშია ჩინეთის მზარდ მოთხოვნასთან რუსულ ნავთობზე, ქვანახშირზე, რკინის მადანზე, ფერად და შავ ლითონებსა და ქიმიურ პროდუქციაზე, რაც, თავის მხრივ, კარგ წინაპირობას ქმნის რუსეთის საწარმოების განვითარებისთვის. ამავე დროს, საუბარი იმაზე, რომ ჩინეთის ეკონომიკის მომავალი რუსეთის ნავთობზე და გაზზეა დამოკიდებული რბილად რომ ვთქვათ გადაჭარბებულია, რადგან პეკინი ცდილობს, ნავთობისა და გაზის საკუთარ შესყიდვების დივერსიფიცირებას. ისინი ენერგომატარებლებს, ასევე ყიდულობენ ყაზახეთისგან, კანადისგან, ინდონეზიისგან და საუდის არაბეთისგან. რუსეთს ერთგვაროვანი ეკონომიკური ბერკეტი ჩინეთზე არ გააჩნია.

გარდა ამისა, პეკინი და მოსკოვი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მაღალ ტექნოლოგიურ, ინოვაციურ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ტრანსპორტის, ჰუმანიტარულ და განათლების სფეროებში ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას.

მხარეების მიერ საჯაროდაა დეკლარირებული, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მუდმივი სტიმულირების ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედად, მრავალპოლარული მსოფლიოს ხელშეწყობა. სერგეი ლავროვი, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი _ ,,ჩინეთთან ურთიერთობების განვითარება რუსული დიპლომატიის პრიორიტეტული მიმართულებაა, რაც არასდროს შეიცვლება. რუსეთისა და ჩინეთის მეგობრობა წარმოადგენს იმ ფაქტორს, რაც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიოზე'' _ ამგვარი პათოსის განცხადებებს ხშირად აკეთებენ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების

წარმომადგენლები. თავის მხრივ, ოფიციალური პეკინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსკოვთან სტრატეგიულ-პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას, ჩინეთში რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას, ხშირ შემთხვევაში განიხილავენ მათი რეგიონალური და გლობალური პოზიციების გამყარების ერთ-ერთ პირობად. ,,არ არსებობენ მუდმივი მეგობრები, არსებობენ მუდმივი ინტერესები" უინსტონ ჩერჩილის ეს ცნობილი გამონათქვამი მიესადაგება ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობებს.

თავი 3. ჩინეთის საგარეო პოლიტიკა

ჩინეთი მიზანმიმართულად ახორციელებს რეფორმებს ყველა მიმართულებით, მათ შორის სამხედრო სფეროშიც. გრძელვადიანი პროგრამა ჩინეთის შეიარაღებული ძალების მშენებლობისა სამ ეტაპად იყოფა.

პირველი ეტაპი. 2000 წლისთვის ჩინეთის არმიას უნდა შეეძლოს ჩინეთის ძირეული ინტერესებისა დაცვა, მათ შორის დაბალი და საშუალო ინტენსივობის ლოკალური ბრძოლების წარმატებით წარმოება ქვეყნის საზღვრების მთელ პერიმეტრზე (ამერიკისა და დასავლეთის სამხედრო ექსპერტები ადასტურებენ, რომ ეს გეგმა შესრულებულია)

მეორე ეტაპი. 2010 წლისთვის ჩინეთის სახალხო გამათავისუფლებელ არმიას უნდა შეეძლოს საჭიროების შემთხვევაში სტრატეგიული საზღვრებისა გარანტირებული გაფართოება. (სწორედ ამას ემსახურება მათი გამალებული შეიარაღების სურვილი და ყოველწლიურად გაზრდილი სამხედრო ხარჯები)

მესამე ეტაპი. 2050 წლისთვის სამხედრო ძალებს უნდა შეეძლოთ გამარჯვების მოპოვება ნებისმიერი მასშტაბისა და ნებისმიერი ხანგრძლვობის შეიარაღებულ დაპირისპირებებში. მრავალპოლარული მსოფლიო წესრიგის დამყარების, მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობისა და კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა. გაეროს წესდების, მიზნებისა და ნორმების შესაბამისად, ყველა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა; საერთაშორისო ურთიერთობების

დემოკრატიზაციის პროცესის ხელშეწყობა; ძალის პოზიციაზე დაფუძნებული პოლიტიკის არდაშვება და შეურიგებლობა ჰეგემონიის ნებისმიერი ფორმის მიმართ.

სახელმწიფოთა სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ცივილიზაციური მრავალფეროვნებისა და საზოგადოებრივი განვითარების განსხვავებული გზების პატივისცემა; მსოფლიოს ყველა ხალხის უფლების პატივისცემა, თავად განსაზღვროს სახელმწიფოებრივი წესწყობილების მისაღები მოდელი.

საერთაშორისო დავებსა და კონფლიქტურ სიტუაციებში მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებების, გზების გამოყენება; წინააღმდეგობის გაწევა ძალის ან ძალის მუქარის გამოყენებისთვის, ასევე სხვა ქვეყნებში კანონიერი ხელისუფლების დამხობის მცდელობებისთვის.

დაუნდობელი ბრძოლა ტერორიზმის, იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის, ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ; საერთაშორისო ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ურთიერთქმედებისა და კოორდინაციის გაძლიერება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის პრობლემატიკის ირგვლივ; ამ კონტექსტში, ნებისმიერი ცალმხრივი ქმედებების დაგმობა, რომლებიც მიმართული იქნება რომელიმე ერთი სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განვითარებისკენ, სხვა სახელმწიფოების სტრატეგიული სტაბილურობისა და საერთაშორისო უსაფრხოების საზიანოდ.

თანამშრომლობის შემდგომი განვითარება შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის (SCO) ფარგლებში და, ასევე, აზია-წყნარი ოკეანეთის რეგიონში.

ბრიკსის (BRICS) ტრანსფორმაციის პროცესის მხარდაჭერა; ამ სტრუქტურის ფარგლებში, პრაქტიკული და მრავალმხრივი ურთიერთქმედების მექანიზმის სრულყოფა; განვითარების ბანკის შექმნის საკითზე კონსულტაციების გაგრძელება და ა.შ.

მაკროეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია კონსტრუქციული კოლექტიური მიდგომების გზით და წინააღმდეგობის გაწევა სავაჭრო თუ საინვესტიციო

პროტექციონიზმის ყველა ფორმის მიმართ. ეკონომიკური თანამშრომლობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების დაბალანსებული ზრდა, ასევე ორმხრივი ვაჭრობის ზრდა 200 მლრდ აშშ დოლარამდე 2020 წლისთვის; სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურის დივერსიფიკაცია.

ფინანსური თანამშრომლობის ფორმების სრულყოფა; ორი ქვეყნის ეროვნულ ვალუტაში შესრულებული ანგარიშსწორების მოცულობის ზრდა როგორც ორმხრივ ვაჭრობაში, ისე დაკრედიტებისა და პირდაპირი ინვესტირების სფეროებში.

სტრატეგიული თანამშრომლობის განვითარება ენერგეტიკის, მათ შორის ნავთობის, გაზის, ქვანახშირის, ელექტროენერგეტიკის დარგებში, ასევე ენერგიის ალტერნატიული წყაროების და ბირთვული ენერგიის გამოყენების კუთხით.

ენერგოეფექტურობის, ენერგომომარაგებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ორივე ქვეყნისთვის, ასევე რეგიონისთვის და მთელი მსოფლიოსთვის.

თანამშრომლობის განვითარება ავიაკოსმოსური მრეწველობის, ახალი ტექნოლოგიების, ბიოინჟინერიის, ბუნებრივი რესურსების რაციონალური ათვისებისა და გამოყენების, ეკოლოგიის დაცვის სფეროებში.

თანამშრომლობის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება აგრობიზნესის, ტყის რესურსების ათვისების და სხვა მიმართულებების მიხედვით.

მართალია, მხარეებს შორის ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა დინამიურად ვითარდება, მაგრამ ოფიციალური პეკინი მთელ რიგ სახელმწიფოებთან, კიდევ უფრო ინტენსიურად აღრმავებს ეკონომიკურ კავშირებს.

2014 წლის მონაცემების შესაბამისად, პეკინის მსხილ სავაჭრო პარტნიორ სახელწიფოთა ნუსხა ასე გამოიყურება:

- შეერთებული შტატები - სავაჭრო ბრუნვა, 592 მილიარდი აშშ დოლარი;
- ევროკავშირი - სავაჭრო ბრუნვა, 550-მილიარდი აშშ დოლარი;
- იაპონია - სავაჭრო ბრუნვა, 320 მილიარდი აშშ დოლარი;
- გერმანია - სავაჭრო ბრუნვა, 300 მილიარდი აშშ დოლარი;

- სამხრეთ კორეა - სავაჭრო ბრუნვა, 300 მილიარდი აშშ დოლარი;

რუსეთს ჩინეთის ტვირთბრუნვების საერთო მოცულობის მხოლოდ ორი პროცენტი უკავია.

გარდა ამისა, 1992-2007 წლებში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ჩინეთმა შეიძინა შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, რომლის საერთო ღირებულებამ 25 მილიარდს აშშ დოლარს მიაღწია. რუსეთის სამხედრო ტექნოლოგიების ათვისებით, ჩინეთი თანდათან ამცირებს მოსკოვთან ტექნოლოგიურ სფეროში ჩამორჩენას. უფრო მეტიც, ჩინეთი დამოუკიდებლად გადის იარაღის მსოფლიო ბაზარზე და მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს რუსეთის ფედერაციას. ამ მიმართულებით, გვაქვს იმის თქმის საფუძველი, რომ რუსეთმა თავად შეუწყო ხელი იარაღის ბაზარზე ძლიერი კონკურენტის შექმნას.

ფაქტია, ორ ქვეყანას შორის ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ურთიერთობების ინტენსიფიკაცია, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩინეთი რუსეთს თვითგანვითარების მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ ბერკეტად განიხილავს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ კონცეფციაში არ არის დაკონკრეტებული, საჭიროების შემთხვევაში, თუ რა მიმართულებით გააფართოვებს ჩინეთი სტრატეგიულ საზღვრებს, შეგვიძლია ლოგიკურად ვივარაუდოთ, რომ ეს სწორედ რუსეთის ფედერაციას ემუქრება, უფრო კონკრეტულად კი მის აღმოსავლეთ რეგიონებს, რომლებიც ესაზღვრებიან ჩინეთს. აღმოსავლეთ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს დიდი ტერიტორიები და ბუნებრივი რესურსები გააჩნია, საკმაოდ მცირე და ისიც სწრაფად კლებადი მოსახლეობით.

თავი 4. რუსეთის საგარეო პოლიტიკა

თუკი ჩვენ განვიხილავთ რუსულ გეოპოლიტიკურ ხედვას, იგი შესაძლოა დავყოთ სამ ძირითად ეტაპად :

1) მედასავლეთეობა - ჩვენ ვართ ევროპელები, ევროპის ნაწილი, გვაქვს საერთო კულტურა და ისინი ვალდებულნი არიან მიგვიღონ ისეთები, როგორებიც ვართ (პეტრე პირველი)
2) სლავიანოფილობა - სლავები ცალკე რასაა, ყველა სლავი ერთად უნდა იყოს რუსეთის დაქვემდებარებაში. რუსეთი ცალკე მხარეა და მისი ხედვები აბსოლუტურად განსხვავდება დანარჩენებისგან
3) ევრაზიანიზმი - მე-20 საუკუნეშ ჩამოყალიბდა ემიგრაციაში. რუსთი არის ცალკე ცივილიზაცია, რომელიცაა ევროპუისა და აზიურის სინთეზი. ის არცერთი არაა ცალ-ცალკე.

რუსეთის[1] საგარეო პოლიტიკამ განიცადა გარკვეული სახის ტრანსფორმაცია. 2016 წლის კონცეფციაში მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კონცეფციის მეოთხე მუხლი, სადაც საუბარია თანამედროვე სამყაროსა და რუსულ საგარეო პოლიტიკაზე. პუნქტში აღნიშნულია, რომ მსოფლიო განიცდის ფუნდამენტურ ცვლილებებს, და ის გადადის მულტიპოლარულ საერთაშორისო სისტემაზე. (ეს გარკვეულწილად მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ არაერთხელ გაჟღერებულა რუსულ ეშელონებში სურვილი საბჭოთა კავშირის აღდგენისა, რაც მიუთითებდა ბიპოლარულ სისტემის სიურვილზე, სადაც ძირითადად მათი წარმოდგენით ისინი უნდა იყვნენ „მსოფლიოს გუშაგები“) საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურა ხდება წარმოუდგენლად კომპლექსური. გლობალიზაციამ შეცვალა ეკონომიკური ცენტრების სამყოფელი და პოლიტიკური ძალებიც სხვადასხვა მიმართულებით განაწილდა. თუკი აქამდე „სართაშორისო ძალა“ - იყო ცენტრალიზებული წლების წინ, ახლა ის გახდა უკვე დეცენტრალიზებული, ძალთა ბალანსი გადაიხარა აღმოსავლეთისკენ, რამაც საკმაოდ გააღიზიანა დასავლეთი. (იგულისხმება ჩინეთის მზარდი პოტენციალი და ასევე სანქციები რუსეთის წინააღმდეგ)

დოკუმენტის მეხუთე პუნქტში ასევე საუბარია ქვეყნებს შორის კეთილდღეობის ნაპრალის გადიდებაზე, ანუ ქვეყნებს შორის სიღარიბისა და განვითარების ზღვარი საკმაოდ არაპროპორციული ხდება. ქვეყნებს შორის შეჯიბრმა კი ჩაითრია ასევე

[1] http://www.mid.ru/en/foreign_policy/official_documents/-/asset_publisher/CptICkB6BZ29/content/id/2542248

ადამიანებიც. ტექნოლოგიურმა შესაძლებლობებმა კი საერთოდ უუნარო გახადა ზოგიერთი ქვეყანა რომ საერთოდ მონაწილეობა მიეღოთ ამ გამალებულ შეჯიბრში.

ოფიცილაური კრემლი, ამ „ძალადობის“ თავიდან ასაცილებლად ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნევს შეიარაღების და სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას, რათა თავიდან აცილებულ იქნეს სამომავლოდ მოსალოდნელი კონფლიქტები საერთაშორისო ასპარეზზე. სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაში ისინი ასევე მოიაზრებენ ბირთვული იარაღის უფრო მეტად განვითარებასა და ფართო-მასშტაბიანი ომისთვის მომზადების აუცილებლობას. რუსეთის აზრით, მსოფლიოში არსებული ორგანიზაციები და გაერთიანებები, წარმოშობენ ქაოსს, რაც თავისთავად წარმოშობს ახალ გამოწვევებს.

საგარეო პოლიტიკის დოქტრინაში, სადაც საუბარია რუსეთსა და მის მიმდებარე რეგიონებზე, საკმაოდ მკაფიოდ არის გამოკვეთილი პოზიცია ჩინეთის მიმართ, სადაც ნათქვამია, რომ ისინი გააგრძელებენ ღრმა, და ყოვლისმომცველ, თანაბარ, ნდობაზე დაფუძნებულ სტრატეგიულ ურთიერთობას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ყველანაირი მიმართლებით. ისინი მზად არიან დაეხმარონ ჩინეთს განსხვავებულ რეგიონებშიც, მიუხედავად იმისა თუ რა ტიპის იქნება საფრთხე.

კონცეფციებიდან გამომდინარე შესაძლოა რუსულ პოლიტიკას ჩინეთისადმი „მიტმასნების პოლიტიკა“ ვუწოდოთ, რადგანაც იგი აანალიზებს იმას, რომ მხოლოდ თავის ძალებზე დაყრდნობით, ვერ დაამარცხებს დასავლეთს დომინირებას მსოფლიოზე, ამისთვის მას სჭირდება ძლიერი პარტნიორი, რომელიც ეკონომიკურად, რიცხვობრივად, ტექნოლოგიურად გაუწევს წინააღმდეგობას ნებისმიერ ქვეყანას.

„ჩინეთი არ წარმოადგენს საფრთხეს რუსეთის უსაფრთხოებისთვის... ჭორები იმის თაობაზე, რომ თითქოსდა ჩინეთის მრავალმილიონიანი არმია ერთ მშვენიერ დღეს დაიკავებს ჩვენი შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიების ნაწილს, გადაჭარბებულია...“, – ეს განცხადება რუსეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა (ამჟამინდელმა პრეზიდენტმა) ვლადიმერ პუტინმა 2010 წლის 6 სექტემბერს სოჭში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გააკეთა. მისი თქმით, რუსეთს არ უნდა ეშინოდეს

ჩინეთის, რადგანაც ჩინეთს არ გააჩნია საკმარისი რესურსები შორეულ აღმოსავლეთში იმიგრაციის დასაწყებად.

რუსეთის მთავარი გეოპოლიტიკური ინტერესი არის გახდეს ისევ „ზე“ სახელმწიფო, რომლის გეოპოლიტიკური კოდი მთელ მსოფლიოს მოიცავს. ამისთვის საჭიროა მისი გავლენა ვრცელდებოდეს სხვა ქვეყნების ფარგლებში (ან ის ქვეყნები, რომლებიც ოდესღაც იყვნენ სსრკ-ს წევრები)

ამ ყველაფერს, ის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა სახის პოლიტიკის წარმოებით ახორციელებს. (დაპყრობა, სანქციების დაწესება, დაქირავებული მებრძოლებით სიტუაციის გამწვავება, ჰიბრიდული ომი, მცოცავი ოკუპაცია და ასე შემდეგ)

ის ფაქტი, რომ რუსებს ყოველთვის დამპყრობლური ინტერესები გააჩნიათ, საკმაოდ ნათლად ისახება ყოფილი ბოლშევიკის ერთ-ერთ წერილში. ტრუბეცკოვი იყო თეთრი ემიგრანტი, ის წარმოადგენდა ბოლშევიკურ რუსეთს, თუმცა პარტიის შიგნით განვითარებულმა მოვლენებმა ის მოსკოვიდან შორს, სხვა ქვეყანაში მოისროლა. სახელმწიფომ იგი ჩამოაშორა ყველანაირ პარტიულ საქმიანობას. თუმცა მისთვის ამას ხელი არ შეუშლია, და ის მუდმივად აგზავნიდა წერილებს მოსკოვში, რომელთა შინაარსი იყო შემდეგი :

თუკი რუსეთს სურდა, რომ შეენარჩუნებინა ან გაეძლიერებინა თავისი ძალა, მას აუცილებლად უნდა გაეფართოვებინა ტერიტორიები. მას ჰქონდა თავისებური მიდგომა ყოველ ქვეყანაზე, რომელიც ესაზღვრბოდა რუსეთს ან რომლის დაპყრობასაც ის აპირებდა. ამიერკავკასიაში ცხოვრობენ სომხები, რომლებიც რუსული ორიენტაციის მქონეები არიან, მიუხედავად იმისა, თუ როგორი სახელმწიფო მმართველობა ექნებათ მათ, თუმცა მიუხედავად ამისა მათზე დაყრდნობას ტრუბეცკოვი არ მიიჩნევდა მიზანშეწონილად. მისი თქმით ისინი არიან პარაზიტები და მონები და სწორედ ამის გამო სძულთ კიდეც სხვა ქვეყნებს.

ქართველებისთვის დაუშვებელი იყო ავტონომიის მიღწევა, ამის წინააღმდეგ უნდა ებრძოლა ნებისმიერ მთავრობას. (სინამდვილეში 1925წ. შემდეგაც ყველა რუსული ბელადი მშვენივრად აკეთებს ამას) მოსკოვს არ უნდა დაეშვა საქართველოს დამოუკიდებლობა და მისი ევროპიზაცია.

აზერბაიჯანის განცალკევება კი აბსოლუტურად დაუშვებელი და უგუნური ნაბიჯი იქნება რუსეთის მხრიდან, რადგან ეს რეგიონი საკმაოდ ხალხმრავალი და ბუნებრივი რესურსებით მდიდარია. **(ზურაბ დავითაშვილი)**

ჯერ კიდევ 1925წ. დაწერილი თეთრი ემიგრანტის წერილებშიც კი ნათლად ჩანს რუსული გეოპოლიტიკური ხედვის სიმტკიცე და მიზანმიმართულობა. დღეს-დღეობით იმის თქმა, რომ რუსეთი შეძლებს აღადგინოს ისეთი ურთიერთობა ჩინეთთან, როგორიც მათ საბჭოთა კავშირის დროს ჰქონდათ, ჩემი აზრით საკმაოდ აბსურდულია, რადგანაც მას შემდეგ ჩინეთმა განიცადა მრავალი ტრანსფორმაცია ყველანაირი მიმართულებით - მეტიც ახლა სიტუაცია ჩემი აზრით აბსოლუტურად საპირისპიროდ შეიცვალა, თუკი წლების წინ ჩინეთი იოსებ სტალინს სთხოვდა მასთან ალიანსში გაწევრიანებას, ახლა ვლადიმერ პუტინს სურს სინ ძინ პინის ჩინეთთან უფრო ახლო ურთიერთობა და ეკონომიკური უერთიერთობების კიდევ უფრო მეტად გამყარება.

რუსეთის მსგავსი ქმედება წინააღმდეგობაში მოდის მათ გეოპოლიტიკურ ხედვასთან, მთელი მათი არსებობის მანძილზე, მათი ძირითადი საქმიანობა ახალი ტერიტორიების დაპყრობა და გაფართოება იყო, ხოლო ზავები და ხელშეკრულებები კი - მოჩვენებითი, ფარსი. საინტერესოა ის ფაქტი, თუ მსგავსი ტიპის დაახლოება, ვის უფრო მეტად აწყობს რეგიონში, და ვის მისცემს უფრო მეტ სარგებელს რუსეთს თუ ჩინეთს ? შესაძლებელია ვივარაუდოდთ ისიც, რომ ამითომ მხოლოდ ჩინეთი არ ნახულობს სარგებელს, მოსალოდნელია ისიც, რომ რუსეთი ცდილობს ბუნებრივი რესურსებით მათი ნდობის განმტკიცებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ამას რასაკვირველია მათ წინააღმდეგ გამოიყენებს. ბრძოლა ჰეგემონობისთვის კონტინენტზე ჯერ ჯერობით ჩინეთის ლიდერობით მიმდინარეობს. მათი პოლიტიკის შემხედვარე მრჩება შეგრძნება, რომ ისინი ემზადებიან რაღაც უფრო დიდი და სერიოზული ცვლილებისთვის, რის გავლენასაც სავარაუდოდ მთლიანი მსოფლიო იწვნევს.

თავი 5. ჩინეთი და დასავლეთი

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ წლების განმავლობაში დასავლეთი ჩინეთს ვერ უგებდა, რომელიც მართალია რეფორმების შედეგად საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა, მაგრამ დასავლური ტიპის თავისუფლებებისგან თავი შორს უჭირავს.

ნიქსონის და მაოს დაახლოების შემდეგ, ასევე ამერიკულ-ჩინური ურთიერთობების განვითარებაში მრავალრიცხოვანი თანმიმდევრული ნაბიჯების წყალობით, შემდეგი ოთხი ათწლეულის განმავლობაში დასავლეთში დამკვიდრდა აზრი იმის თაობაზე, რომ ჩინეთი ნელ-ნელა გადავიდოდა დასავლურ რელსებზე, მაგალითად საბაზრო ეკონომიკას დემოკრატიზაცია მოჰყვებოდა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მეტი თავისუფლება მიენიჭებოდათ. ასეთ მოსაზრებებში ჩანს ის, რომ გათვლა არასწორად კეთდებოდა, (ნიქსონისა და ჰენი კისინჯერის ვარაუდიც სწორედ ამაში მდგომარეობდა, რომ დემოკრატიული ეკონომიკის შემდგომ, ჩინეთის შემდეგი ნაბიჯი ლიბერალური მმართველობის რელსები იქნებოდა) მაგრამ ეს მოსაზრებები დღემდე არსებობს და ზოგიერთი მათგანი რეალურად ახდა კიდეც, მაგალითად არ გამართლდა ვარაუდი, რომ ჩინეთი გახდებოდა დემოკრატიული სახელმწიფო, თუმცა მისი ეკონომიკა ლიბერალურობით არაფრით ჩამოუვარდა სხვა რომელიმე წამყვანი ქვეყნის ეკონომიკას, ამის არგუმენტად კი შეგვიძლია მოვიყვანოთ ის, რომ ანალიტიკოსების ვარაუდით[2] 2025-2030 წლისთვის, მისი ეკონომიკა უკვე გადაასწრებს აშშ-ს, და საბოლოოდ ის გახდება უძლიერესი ეკონომიკის მქონე ქვეყანა.

საკითხი აქ გაცილებით ღრმაა და დასავლური ტიპის დემოკრატიის პრობლემით, მედიის თავისუფლებითა და ადამიანის უფლებებით არ შემოიფარგლება. ჩინეთი დასავლეთი არ არის და ასეთი არც არასდროს გახდება. ძირითადი არგუმენტი ასეთია, რომ მოდერნიზაციის პროცესს აუცილებლად მოჰყვება ჩინეთის ,,გადასავლურება'', თუმცა მოდერნიზაციის ფორმირება არამხოლოდ ბაზრების, კონკურენციისა და ტექნოლოგიების, არამედ ისტორიის და კულტურის დახმარებითაც ხდება. ჩინური ისტორია და კულტურა კი მნიშვნელოვნად

[2] https://www.bloomberg.com/opinion/articles/2019-03-08/will-china-overtake-u-s-gdp-depends-how-you-count

განსხვავდება ნებისმიერი დასავლური ნაციონალური სახელმწიფოსგან. ის, რომ დასავლეთს ჩინელების არ ესმოდა, მას ხშირად ხელს უშლიდა იმაში, რომ წინასწარ გაეთვალა და ამოეცნო ჩინეთის ქმედებები. ხშირ შემთხვევაში დასავლეთის პროგნოზები და წარმოდგენები ჩინეთზე მცდარი გამოდგებოდა ხოლმე: რომ ჩინეთის ,,კომუნისტური პარტია'' 1989 წლის შემდეგ, პეკინში თიანანმენის მოედანზე მოხდარი ცნობილი მოვლენების შემდეგ დაემხობოდა, ქვეყანა გაიხლიჩებოდა, ვერ გაუძლებდა ეკონომიკურ ზრდას, ჩინეთის განვითარების მაჩვენებლები ძალიან გაზვიადებული იყო, იმ დროს, როდესაც ბრიტანეთმა ამ ქვეყანას ჰონკონგი გადასცა, მისი ლოზუნგი ,,ერთი ქვეყანა, ორი სისტემა'' გულწრფელი არ გახლდათ და ბოლოს ჩინეთი აუცილებლად ,,გადასავლურდებოდა''. ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჩინეთის მომავალზე ზოგიერთ შემთხვევაში მართებული პროგნოზები არ კეთდებოდა დასავლეთის მხრიდან, იყო ის, რომ ჩინეთის წარსულის შესახებ მწირ ინფორმაცია გააჩნდათ. მართალია, მთელი გასული საუკუნის განმავლობაში ჩინეთი საკუთარ თავს ეროვნულ სახელმწიფოს უწოდებდა, მაგრამ სინამდვილეში ის სახელმწიფო-ცივილიზაციაა. ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე უწყვეტი მმართველობის ფორმა არსებობდა, რომელიც ჩვ.წ.აღ.-მდე 221 წელს ცინის დინასტიის გამარჯვების შემდგომ წარმოიქნა. დასავლური ნაციონალური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, ჩინელთა იდენტობა, მათი როგორც სახელმწიფო-ცივილიზაციის ხანგრძლივ ისტორიას ეფუძნება და ერთი ხელის მოსმით, მთლიანად ამ კულტურის გადასხვაფერება ჩემი აზრით შეუძლებელია.

რა თქმა უნდა, ბევრი სახის ცივილიზაცია არსებობს, მაგალითად დასავლური ცივილიზაციაც, მაგრამ ჩინეთი მსოფლიოში ერთადერთი – სახელმწიფო-ცივილიზაციაა. მისი გამორჩეული მახასიათებლებია: ხანგრძლივი ისტორია, ასევე უზარმაზარი გეოგრაფიული და დემოგრაფიული მასშტაბები და მრავალფეროვნება. ამის შედეგები ძალიან მნიშვნელოვანია. ჩინეთის მთავარი პრიორიტეტი მისი ერთიანობაა, ხოლო მრავალრიცხოვნება მრავალფეროვნებაში. მისი არსებობის პირობაა (სწორედ ამიტომ შესძლო ჩინეთმა ჰონკონგისთვის ისეთი ფორმულის შეთავაზება როგორიცაა ,,ერთი ქვეყანა, ორი სისტემა'', რაც უცხოა ნაციონალური სახელმწიფოსთვის).

ჩინეთის სახელმწიფოს, დასავლური სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საზოგადოებასთან სხვაგვარი ურთიერთობები აქვს. ის გაცილებით მეტი ბუნებრივი ავტორიტეტით, ლეგიტიმურობით და პატივისცემით სარგებლობს, თუმცა სახელმწიფოს ხმას არც ერთი ამომრჩეველი არ აძლევს. მიზეზი ის არის, რომ ჩინელები სახელმწიფოში ,,გუშაგს'' და საკუთარი ცივილიზაციის განსახიერებას ხედავენ. სახელმწიფოს ვალი მისი ერთიანობის დაცვაა. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობა ჩინეთის ისტორიის სიღრმეებიდან მოდის და ამით ჩინეთი რადიკალურად განსხვავდება იმ წარმოდგენებისგან, რომლებიც დასავლურ საზოგადოებებში სახელმწიფოზე არსებობს. რასაკვირველია საზოგადოების ასეთი მიდგომა ქვეყნის მიმართ კიდევ უფრო აძლიერებს და უფრო მეტად ხდის ლიდერს მთლიანად რეგიონში. ძნელი სათქმელია თუ რამდენ ქვეყანაში შეგვიძლია კიდევ შევხვდეთ მსგავსი ტიპის სულისკვეთებას სამშობლოსთვის.

ბოლო საუკუნეების განმავლობაში დასავლეთი მსოფლიოში, ჯერ ევროპის, შემდეგ კი შეერთებული შტატების იერით წამყვან პოზიციებს იკავებდა. ჩინეთის მსოფლიო ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბებით, ეს ეპოქა სრულდება. ახლა დანარჩენ მსოფლიოს სხვა ჩინეთთან უწევს ურთიერთობა, თან სულ უფრო თანაბარ პირობებზე.

ჩინეთიც დასავლეთივით საკუთარი ფორმის უნივერსალიზმითაა შეპყრობილი. თვითიდენტიფიკაცია, რომელიც თვითდაჯერებულობის საოცარ განცდას ბადებს, ბოლო 35 წლის განმავლობაში მყარად შეიმჩნევა, მაგრამ ჩინეთის თავბრუდამხვევი განვითარების ფონზე ეს გრძნობა კიდევ უფრო ცხადი ხდება, რადგან ქვეყანაში წარმატების და აღორძინების განცდა მატულობს.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე პეკინს და მოსკოვს საერთო ინტერესები გააჩნიათ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკის შედეგად, ეს უძველესი ცივილიზაციის სახელმწიფო, რუსეთისგან განსხვავებით სწრაფად ვითარდება დემოგრაფიულად, ეკონომიკურად, სამხედრო შესაძლებლობებით (ბოლო პერიოდში კი ტერიტორიების გაფართოების სურვილითაც კი) და სულ უფრო და უფრო მატულობს მისი გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე.

ჰიპოთეზა :

რუსეთ ჩინეთის განსხვავებული გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ხედვა თუ განსხვავებული საგარეო ინტრესები ზეგავლენას არ ახდენს ორ ქვეყანას შორის მეგობრულ ურთიერთობებზე რადგან მათ შორის არსებობს მზარდი ეკონომიკური კავშირი, რაც სასარგებლოა ორივე ქვეყნისთვის.

როდესაც ვსაუბრობთ ჩინეთზე, უნდა გვახსოვდეს ერთ რამ, ეს არ არის სახელმწიფო რომელმაც განიცადა ტრანსფორმაცია და მმართველობის ფორმა, ეს არის სახელმწიფო, რომელიც ყოველთვის სტაბილურად, მიიწევს დასახული მიზნისკენ. ის, რასაც დღეს ჩინეთის ცივილიზაციას უწოდებენ, დაიწყო ჩინეთის გამაერთიანებელ იმპერატორად აღიარებულ ცინ შიხუანდი-ს მმართველობის დროს ძვ.წ. 221 წელს . აქედან გამომდინარე ლოგიკურია ვივარაუდოთ რომ, ისინი გამოირჩევიან მოთმინებით, და საკმაოდ ცბიერი პოლიტიკით. მრავალი წლის მანძილზე მსოფლიო თითქმის საერთოდ არაფერი არ იცოდა აზიის ამ შეუსწავლელ ქვეყანაზე, რადგანაც ის მუდმივად იზოლაციონალისტურ პოლიტიკას ატარებდა. რუსეთთან მიმართებაში მათ თითქმის ყოველთვის ერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ - როდესაც მას დახმარება სჭირდებათ ისინიც მუდმივად „იქ არიან“ !! თუმცა რასაკვირველია ამ ყველაფერს ჩინეთი მხოლოდ და მხოლოდ კეთილი გულის გამო არ აკეთებს, საქმე იმაშია, რომ ჩინეთის მოსახლეობა შეადგენს მილიარდ სამას მილიონზე მეტ ადამიანს. ბუნებრივია რომ შეუძლებელია ამდენი ადამიანის სურვილების დაკმაყოფილება, რაც საერთო ჯამში, მაინც აისახება ქვეყნის გაჭირვებული და უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობაზე.

ზემოთ წამოჭრილი დემოგრაფიული პრობლემა და მასთან დაკავშრებული საკითხები მართალია მნიშვნელოვანია, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ჩინეთი, არამხოლოდ ეკონომიკურად, არამედ სხვა ასპექტებშიც საკმაოდ გაძლიერდა. მაგალითისთვის რომ ავიღოთ მათი სამხედრო პოტენციალი **(იხ.დანართი 1)** შეგვძლია დავინახოთ, რომ ისინი ყოველ წელს ზრდიან თავიანთ სამხედრო პოტენციალს. გამალებული შეიარაღება შესაძლოა მივიჩნიოთ როგორც თავდაცვის საშუალება, თუმცა ჩინეთის გადადგმული ნაბიჯები, აბსოლუტურად სხვა რამეზე მეტყველებს. ასევე თვალში საცემია ბოლო წლებში სამხედრო კურიზერების მშენებლობა, რომელიც მათი თქმით გაკუთვნილია ეკონომიკური, ტექნიკური და

სტრატეგიული გამოწვევების დასაძლევად, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ჩინეთი ასევე ახდენს ძველი საზღვაო გემების მოდერნიზაციას[3].

„მიწა[4] ხალხის გარეშე“ ან ხალხი მიწის გარეშე - ასე შეგვიძლიათ დავახასიათოთ ციმბირის მკაცრი კლიმატი. მართალია ციმბირი არ არის მთლიანად დაუსახლებელი, თუმცა ის რესურსების მხრივ, ის საკმაოდ მდიდარი მხარეა. „ამურის მიმდებარე მიწა, იყო ყოველთვის რუსების და ასევე იქნება მომავალში“ განაცხადა ოფიციალურმა მოსკოვმა ციმბირის შესახებ (თუმცა ფაქტია, რომ ეს ტერიტორია მათი მხოლოდ ბოლო 150 წლის წინ გახდა) ციმბირი რუსეთის აზიური ნაწილია, რომელსაც გარს ერტყმის ურალის მთები. ის შეადგენს რუსეთის მიწის მოცულობის 3/4 . რათქმაუნდა რთული წარმოსადგენია თუ როგორ შეიძლება ასეთი დიდი ტერიტორიის მისაკუთრება, თუმცა საზღვარს, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც მოსაზღვრე ქვეყნების მას ნამდვილად აღიარებენ. დღეს-დღეისობით საკმაოდ უცნაური სიტუაცია გვხვდება რუსეთის ამ ცივ ნაწილში, სადაც მხოლოდ 6[5] მილიონი რუსი ცხოვრობს 90 მილიონ ჩინელთან ერთად, სადაც ისინი ჩვეულებრივად ქორწინდებიან, ვაჭრობენ და ცხოვრობენ ერთად. ციმბირელები კი თანდათან აანალიზებენ, რომ ისინი გაცილებით უფრო ახლოს არიან ბეიჯინგთან, ვიდრე მოსკოვთან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს მიწა, „ემსახურება“ ჩინეთს, აქ ისინი მოიპოვებენ და ამუშავებენ გაზს, ნავთობს, ხეს - მეტიც ეს ადგილი ჩინეთისთვის აღინიშნება, როგორც ჩინეთის სახელმწიფოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხემალი.

შესაძლოა ჩინელებს ერთ დღესაც მოუწიოთ რეალობისთვის თვალის გასწორება და რუსეთთან დაპირისპირება, ან თუნდაც მიმართონ ცნობილ რუსულ ხერხს - დაურიგონ ჩინური პასპორტები მთლიან მოსახლეობას და შემდეგ „დაიცვან მათი ინტერესები“.

[3] https://www.scmp.com/news/china/military/article/3011872/chinas-navy-being-forced-rethink-its-spending-plans-cost-trade
[4] https://www.nytimes.com/roomfordebate/2014/07/03/where-do-borders-need-to-be-redrawn/why-china-will-reclaim-siberia
[5] https://www.scmp.com/week-asia/geopolitics/article/2100228/chinese-russian-far-east-geopolitical-time-bomb

არსებული სიტუაციის გაანალიზებით, სავსებით შესაძლებელია, რომ ჩინეთი, ჯერ ჯერობით ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დამოკიდებული გაიხადოს რუსეთი, როგორც ეკონომიკურად, ასევე ტერიტორიულადაც. ამით შეგვიძლია ავხსნათ მათი ეს ქმედება. ლოგიკურია, როდესაც ერთი ქვეყანა, გადაჯაჭვულია მეორეზე, მას უკვე უჩნდება რაღაც დასაკარგი. დანაკარგი ერთი მხრივ შეიძლება იყოს ტერიტორია, მეორე მხრივ საწარმო, ბუნებრივი რესურსი, წარმოება, იაფი მუშა ხელი, საერთაშორისო ასპარეზზე მხარდაჭერა, ექსპორტის შესაძლებლობა და ასე შემდეგ. ხოლო რაც შეეხება ბრძოლას ჰეგემონობისთვის, ჩემი აზრით ორივე მხარე ჯერ ჯერობით მხოლოდ და მხოლოდ პასიური ბრძოლის ეტაპზე არიან გადასულები. პასიურ ბრძოლად შეგვიძლია მივიჩნიო ციმბირის რეგიონი, სადაც ორივე მხარე აცნობიერებს არსებულ ვითარებას, თუმცა არცერთი მხარე არ დგამს რაიმე კონკრეტულ ან მწავე ნაბიჯს. თავის მხრივ რუსეთს არ აწყობს ამჟამად დიდ მეზობელთან უთანხმოება და სიტუაციის გაუარესება.

ფაზლი :

მიუხედავად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების პოზიტიური დინამიკის დემონსტრირებისა, ობიექტურ რეალობას წარმოადგენს ის, რომ მათი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები რიგ შემთხვევებში ერთმანეთს არ ემთხვევა. (რაც ჩემ მიერ ჩატარებულ კვლევაში დამტკიცებულია და გამყარებულია არგუმენტებით) მიუხედავად მათი განსხვავებული ხედვებისა ეს ფაქტი ზეგავლენას არ ახდენს მათ სტაბილურად მზარდ ურთიერთვაჭრობასა და მზარდი ურთიერთობაზე. მაშ ასე, ჩნდება კითხვა : რა არის ამის მიზეზი ? რით არის გამოწვეული მათი მყარი ურთიერთკავშირი, თუ რეალურად მათი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები ერთმანეთს არ ემთხვევა ?

სწორედ ამიტომ ჩემი აზრით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ეს ორი გიგანტი ქვეყანა და მათი რეალური პოლიტიკური დამოკიდებულება ერთმანეთისადმი.

არსებობს მხოლოდ მუდმივი ინტერესები და არა მუდმივი მეგობრობა - სწორედ ასე და ამგვარად შეიძლება აიხსნას ის რაც ხდება აზიის კონტინენტის ორ დიდ სახელმწიფოს შორის. რუსეთის ეკონომიკა (იხ. დანართი 1) 2014 წლიდან მოყოლებული განიცდის საკმაოდ დიდი რეგრესს. ეს რასაკვირველია განპირობებულია არამხოლოდ არასწორი და „დამპყრობლური“ პოლიტიკით, არამაედ ასევე კორუფციით, და სხვა სახელმწიფოებისა და თუ მსოფლიო ორგანიზაციების მიერ დადებული ემბარგოების მიერ. თუმცა 2019 წლის მაისში, მართალია მცირედით, თუმცა უკვე დაიწყო გარკვეული ცვლილებები რუსულ ეკონომიკაში. ექვს წლიანი სტაგნაციის შემდეგ, აპრილში, რუსულმა ეკონომიკამ 3.1 % ზრდას, ხოლო 2,8 % ზრდას მაისში მიაღწია[6].

ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამა წლის მაისში, რუსეთმა დაიბრუნა ხმის მიცემის უფლება ევროსაბჭოში[7] (რომელიც მას ჩამოერთვა ყირიმის ანექსიის გამო)

რთულია იმის თქმა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავებამ გამოიწვია, თუმცა ფაქტები და სტატისტიკა მეტყველებს იმაზე, რომ როდესაც აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ, დაიწყო აგრესიული პოლიტიკა ჩინეთის წინააღმდეგ, რუსეთის ეკონომიკური მდგომარეობა და საგარეო პრესტიჟი მცირედით, თუმცა მაინც განვითარდა. ეს ყველაფერი კი გამოიწვია იმან, რომ ჩინეთი არ აპირებს არაფრის დათმობას დასავლეთისთვის, საპასუხოდ კი თავის მეზობელ და ყოფილ კოლეგა რუსეთს მიადგა. სხვა საკითხია რამდენად აწყობს აშშ-ს მსგავსი ტიპის ალიანსი, რადგანაც ჯერ კიდევ სსრკ-ს დროს, ამერიკა ყოველთვის ცდილობდა ჩინეთის თავისკენ გადმობირებას და მასთან მეგობრულ ურთიერთობას.

დღევანდელი დღის წესრიგში იმის შემდეგი კითხვა : შეუძლია თუ არა რუსეთს ამოავსოს ის „ნაპრალი“ რომელიც დატოვა დასვალურმა სანქციებმა ? რუსეთის განცხადებით ისინი ამისთვის მზად არიან, და ისინი ყველანაირად შეეცდებიან ამოავსონ ის დანაკარგი ჩინეთისთვის რაც ემბარგოთი მიადგა ჩინეთს. ასევე რუსეთმა აღიარა ჩიენთი პოსტ საბჭოთა ქვეყნებსა და რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე[8] ძლიერ

[6] https://www.themoscowtimes.com/2019/06/24/russias-economy-shows-signs-of-recovery-in-may-a66118
[7] https://www.bbc.com/news/world-europe-48755606
[8] https://www.themoscowtimes.com/2018/12/20/what-russia-wants-a63889

სახელმწიფოდ, (მისი ეკონომიკა) თუმცა რასაკვირველია მას ხაზი არ გაუსვამს იმისთვის რომ, ჩინეთი მზადაა თავისთავზე აიღოს რეგიონში უსაფრთხოების პასუხისმგებლობა, და იყოს „აღმოსავლეთის სამართლიანობის გუშაგი“.

საკვლევი კითხვა :

რატომ ვერ ახდენს რუსეთ ჩინეთის განსხვავებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ხედვები ზეგავლენას მათ მზარდ ურთიერთობაზე ?

სანამ უშუალოდ გადავიდოეთ კონკრეტულ ფაქტებსა და ხელშეკრულებებზე, ჩემი აზრით მნიშვნელოვანია მცირედით კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი რუსეთ-ჩინეთის განვითარებულ ურთიერთობებს 1860 წლიდან და განვითარებულ სპეციფიკას მათ შორის.

1860 წელს არათანაბარი ზავის შედეგად, ცინის დინასტიის ნაწილი, ციმბირი გადავიდა რუსეთის ტერიტორიის შემადგენლობაში. რეალური ურთიერთობები დაიწყო რევოლუციის შემდეგ, ხოლო ეს კავშირი განმტკიცდა 1945 შემდგომ. ჩინეთის განთავისუფლებაში წითელმა არმიამ დიდი როლი შეასრულა. კავშირი კიდვ უფრო გაიზარდა 1949წ. როცა ჩინეთი სახალხო რესპუბლიკა გახდა. 1950 წ. მაომ ძედუნმა სტალინს შეერთება შესთავაზა, როგორც მიეღო ჩინეთი მეთექვსმეტე რესპუბლიკად, თუმცა ეს შეთანხმება ვერ შედგა. 1930-იანი წლები ამ ორ დიდ ქვეყანას შორის საუკეთესო წლები იყო. 50- იან წლებში მათ უკვე უერთდებათ ჩრდილოეთ კორეა.

1969 წ. ჩინეთი და რუსეთი ომის ზღვარზე მივიდა, სადაო კუნძულ დამანსკის გამო. ჩინეთმა გადასხა ჯარი და გაფრთხილების გარეშე დაიკავა კუნძულ, საპასუხოდ სსრკმ 2 დღეში მთლიანად გაანადგურა ეს ჩინური შენაერთი. კუნძული შევიდა სსრკ-ს შემადგენლობაში. ამით საბჭოთა კავშირმა მოახდინა თავისი ძალის დემონსტრირება. სსრკ-ს დაშლის შემდეგ, დღეს დამანსკი ჩინეთის შემადგენლობაშია. „პერესტროიკის“ პერიოდში, ჩინეთში დაიწყო აქციები, საპროტესტო გამოსვლები, ხოლო 1989 წელს, დენ სიაოპინმა სასტიკად ჩაახშო ეს მოვლენები (თიანამენის ტრაგედია)

90-იან წლებში დაიშალა სსრკ, რუსეთს არ გააჩნია იმის ძალა, რომ იყოს კვლავინდებურად ლიდერი, ამ პერიოდში ჩინეთიც საკმაოდ დასუსტებულია. ამის ფონზე მოსკოვში ხელი მოეწერა შეთანხმებას კეთილმეზობლური და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რაც მოსკოვსა და პეკინს შორის ურთიერთობების სამართლებრივ ფუნდამენტს წარმოადგენდა. იმავე წელს იქმნება რეგიონული ორგანიზაცია „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“ (ჩინეთ, რუსეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი ყირგიზეთი ტაჯიკეთი).

ახლა ჩინეთსა და რუსეთს შორის საუკეთესო პერიოდია. როდესაც რუსეთმა მოახდინა ყირიმის ოკუპაცია, მსოფლიომ რუსეთს სანქციები დაუწესა, ამის საპირისპიროდ კი ჩინეთი და რუსეთი უფრო მეტად დაახლოვდნენ. 2014 წ. [9]მაისში მათ შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის ღირებულება 400მლრდ.[10] დოლარია. ამ გარიგების მიხედვით, 2018წ. რუსეთი 30 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ჩინეთს მიაწვდის 38მლრდ. კუბურ მეტრ გაზს. გარდა ამისა, ამავე წელის შეთანხმების თანახმად, რომლის ღირებულება 270მლრდ[11]. დოლარს შეადგენს. რუსეთი ჩინეთს 25 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მიაწვდის 260მლნ. ტონა ნავთობს. ჩინეთს გარანტირებული აქვს აირისა და ნავთობის იმპორტი. ამ გარიგების მიუხედავად, 2016 წ. მონაცემებით მათ შორის სავაჭრო ეკონომიკა უტოლდება 90 მლრდ-ს, ხოლო ჩინეთსა და აშშ-ს ბრუნვა 600 მლრდ.-ია, ხოლო ჩინეთსა და

[9] https://asia.nikkei.com/Business/Business-trends/China-strikes-oil-and-gas-deals-with-Russia-s-Rosneft
[10] https://www.scmp.com/news/china/diplomacy/article/3013483/russia-and-china-sign-deals-worth-us20bn-xi-jinping-and
[11] https://www.reuters.com/article/us-china-economy-trade-crude/russia-seals-position-as-top-crude-oil-supplier-to-china-holds-off-saudi-arabia-idUSKCN1PJ05W

ევროკავშირს შორის ვაჭრობა კი 550 მლრდ.-ს შეადგენს. ჩინეთი რუსეთს სტრატეგიულ პარტნიორად განიხილავს.

თუკი გადავხედავთ მსოფლიოს განვითარებულს სცენარს გასული დეკადის განმავლობაში, დავინახავათ მსგავსს სიტუაციას, თუკი მსოფლიო რუსეთს უწესებს სანქციებს, თუკი ქვეყნები ბლოკავენ რუსეთს სხვადასხვა გაერთიანებებსა და ორგანიზაციებში, „მაშველის“ როლს სწორედ ჩინეთი ირგებს. საბჭოთა კავშირის დანგრევამდე ეს სწორედაც ასე იყო ამ ორი ქვეყნის ტანდემი მუდმივად დგებოდა, მცირე გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ნიქსონის დროს სიტუაციის გამწვავება, რაც მხოლოდ და მხოლოდ დროებითი გამოდგა. ჩინეთი გამოდის როგორც მათი „ძიძა“, რომელიც დახმარების ხელს უწვდის მაშინ, როდესაც მოსკოვს ეს ყველაზე მეტად სჭირდება.

რუსეთის მმართველ ელიტას არ შეიძლება არ ესმოდეს, რომ იმ შემთხვევაში თუ მოსკოვი არ დააჩქარებს შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპებს, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეს ტერიტორიები დიდი ალბათობით შეივსება ჩინელი მოსახლეობით, ასევე დიდი ოდენობის ჩინური კაპიტალითა და საქონლით. შესაბამისად, რუსეთის ინტერესში უნდა იყოს თანამშრომლობის გამყარება, აზიის რეგიონის სხვა სახელმწიფოებთანაც, ჩინეთთან ბალანსის დაცვის მიზნით. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტიც, რომ რამდენად გამოიღებს მათთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება სასურველ შედეგს ? რადგანაც ეს ჟესტი, ჩინეთმა შესაძლოა მიიღოს როგორც კეთილი განზრახვა და საპასუხოდ კიდევ უფრო ადამიანი ჩაასახლოს, რის საპასუხოდაც რუსეთს მხოლოდ ისღა დარჩება ხელგაშლილა მიიღოს და შეეგუოს არსებულ ვითარებას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი ისინი უარს იტყვიან დამატებით ხალხის შემოსვლაზე, ეს თავისთავად დაძაბავს ურთიერთობას მათ შორის.

დამოუკიდებული ცვლადი :

რუსეთ ჩინეთის განსხვავებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ხედვა თუ განსხვავებული საგარეო ინტერესები ზეგავლენას არ ახდენს ორ ქვეყანას შორის მეგობრულ

ურთიერთობაზე, რადგან მათ შორის მზარდი ეკონომიკური კავშირია, რომლისგანაც სარგებელს ორივე მხარე იღებს.

,,მათ ვინც ცდილობს შეგვაშინოს ჩინური საფრთხით ჩვენ არაერთხელ გავეცით პასუხი. ისინი კი როგორც წესი ჩვენი დასავლელი პარტნიორები არიან. თანამედროვე მსოფლიოში, რაოდენ მიმზიდველიც უნდა იყოს აღმოსავლეთ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მინერალური რესურსები მთავარი ბრძოლა მისთვის მაინც არ მიმდინარეობს. მთავარი ბრძოლა მიდის მსოფლიო ლიდერობისათვის და ჩვენ ამ საკითხზე ჩინეთთან დავას არ ვაპირებთ. ჩინეთს აქ სხვა კონკურენტები ჰყავს. დაე, მათ ერთმანეთთან არკვიონ ურთიერთობა. ჩვენთვის ჩინეთი პარტნიორია, საიმედო პარტნიორი. ჩვენ ვხედავთ ჩინეთის ხელმძღვანელობისა და ჩინელი ხალხის მზადყოფნას ააგოს ჩვენთან მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობა და ეძებოს კომპრომისი შედარებით რთულ საკითხებთან დაკავშირებით. ჩვენ ვხედავთ ამ მზადყოფნას და ჩვენი მხრივ, ასევე ვმოქმედებთ, და როგორც წესი შეხების წერტილებს ვპოულობთ. დარწმუნებული ვართ ვიპოვით მას მომავალშიც". ხაზგასასმელია, პუტინის ოპტიმიზმი, მაგრამ ალბათ ზედმეტად ოპტიმისტურად ყოფნა, ჩინეთთან მიმართებაში რუსეთის ფედერაციის არცერთ პრეზიდენტს არ მოუტანს სარგებელს. პუტინის ამ განცხადებიდან ნათლად ჩანს, თუ რა ტიპის პოლიტიკას ატარებენ ისნი დღეს, და ეს კიდევ ერთხელ ამყარებს იმ არგუმენტს, რომ რუსეთს ამჟამად არ გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ იყოს ჰეგემონი არა მსოფლიოში, არამედ კონტინენტზეც კი. პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრები კი მსგავსს ფაქტს სავარაუდოდ ჩათვლიან როგორც ერთი ქვეყნის სისუსტესს რომელსაც აღარ შესწევს საკუთარი თავის სრული რეალიზაციის საშუალება. თუკი მაგალითისთვის მოვიყვანთ „მელოსის" დიალოგს, სადაც პატარა კუნძულის მცხოვრებლებმა, დასახმარებლად მოუხმეს სპარტელებს, რათა თავი გადაერჩინათ დამპყრობელი ათენელებიგან. რასაკვირველია რუსეთ ჩინეთის ურთიერთობაში, რუსეთი არ სთხოვს მტრისგან თავის დასაცავად ჯარის გამოყოფას მისთვის, თუმცა ის სთხოვს თავშესაფარს ეკონომიკურ ომში, სადაც ამ შემთხვევაში სპარტა მოიაზრება როგორც ჩინეთი.

დღეს მოსკოვი და პეკინი ორმხრივ ურთიერთობებში ხელმძღვანელობენ შემდეგი პრინციპებით:

მოსკოვი ანვითარებს ენერგეტიკულ თანამშრომლობას ჩინეთთან იმისათვის, რომ განიმტკიცოს პოზიციები გაზის აზიურ ბაზარზე. ეს მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანაა, რადგან გაზის ევროპული ბაზარი, სადაც რუსეთს ჯერ კიდევ მონოპოლიური მდგომარეობა აქვს, დღეს აშკარა სტაგნაციას განიცდის.

ჩინეთ-რუსეთის ორმხრივი ენერგეტიკული თანამშრომლობის თვალსაზრისით, რუსეთი ფლობს აშკარა რესურსულ უპირატესობას, ხოლო ჩინეთი ფულად, ტექნიკურ და საბაზრო უპირატესობას ერთდროულად. ამ ტიპის კავშირებს ორივე მხარისთვის მოაქვს სარგებელი.

იმის გამო რომ, რუსეთს, დღეს არ გააჩნია იმის ძალა, რათა წინ აღუდგეს ორ დიდ სახლმწიფოს, ამისათვის ისინი იყენებენ სხვა ხერხს. ამ ხერხს შეგვიძლია ვუწოდოთ „ევგენი პრიმაკოვის დოქტრინა“ (სინამდვილეში ასეც ქვია. იგი იყო საბჭოთა და რუსი პოლიტიკური სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა და ცენტრალური დაზვერვის მინისტრი)

პრიმაკოვის დოქტრინის მთავარი შინაარსი შემდეგშია :

1) რუსეთი უნდა ეცადოს, რომ მულტიპოლარულ სამყაროში, არ დაუშვას ამერიკის ცალმხრივი დომინირება, დააბალანსოს ის

2) რუსეთმა უნდა დაიცვას თავისი ინტერესები პოსტ საბჭოთა სივრცეში, და არ დაუშვას დასავლეთის ფეხის მოკიდება ამ სივრცეში

3) რუსეთმა არ უნდა დაუშვას „ნატოს“ გაძლიერება

4) სამხედრო ძალა არის აუცილებელი ჰიბრიდული ომისთვის. თუმცა ის საკმაო რისკის შემცველია და ამიტომაც ის ყოველთვის მეორეხარისხოვანი უნდა იყოს (ამ პუნქტის რეალობაში აღქმა საკმაოდ რთულია, რადგანაც 2008 წ. 2014 წ. და 2015 წ. რუსეთი თავს დაესხა საქართველოს, უკრაინასა და სირიას, რაც იყოს აბსოლუტური არასასურველი და უაზრო რისკი და დაპირისპირება მისთვის)

5) ბირთვული იარაღი აუცილებელია ქვეყნის უსაფრთხოებითვის და სტრატეგიული თავდაცვისთვის

აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სირიაზე თავდასხმა, არა რუსული მხარის სიძლიერის დემონსტრირება იყო, არამედ ამით მათ აჩვენეს მსოფლიოს, რომ ისინი არ არიან ეკონომიკურად და არც სამხედრო პოტენციალით მზად იმისთვის, რომ ყოფილიყვნენ ჰეგემონები ახლო აღმოსავლეთში. (რათქმაუნდა მსფოლიო ჰეგემონობაზე საუბარიც კი ზედმეტია)

იმისათვის რომ მათ სისრულეში მოიყვანონ პრიმაკოვის დოქტრინა, ამისთვის რუსეთს გააჩნია რამდენიმე გზა : პირველი , იქნება თუკი ისინი თავის თავზე აიღებენ უფრო მეტ რისკს, წამოიწყებენ უფრო ამბიციურ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას, უფრო ღრმად ჩაერევიან კონფლიქტში, გაიღებენ უფრო მეტ ხარჯს და წავლენ რისკზე, რათა მსოფლიოს დაანახონ თავისი „კუნთები“ - ეს ვარიანტი საკმაოდ სახიფათოა რუსეთისთვის, რადგანაც, სუსტი სახელმწიფოებრიობა[12] ეკონომიკა და დაბალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, არ აძლევს რუსეთს იმის საშუალებას, რომ განავითარონ ეკონომიკა. ისინი არ ხარჯავენ ფულს ჯანმრთელობასა და განათლებაზე, შესაბამისად მათი ეკონომიკაც არ ვითარდება. მცირედი ძვრა დაფიქსირდა მხოლოდ და მხოლოდ 2019 წლის მაისში, თუმდა ეს მხოლოდ და მხოლოდ განაპირობა იმან, რომ მან გაიღრმავა ურთიერთობები ჩინეთთან და მსოფლიო ბაზარზე მათმა აქციების ფასმა მცირედით მოიმატა. შესაბამისად რუსეთს ამჯერად არ გააჩნია სხვა გზა გარდა იმისა, რომ დროებით მიეკედლოს ჩინეთს. ამით იგი მხოლოდ გამოეთიშა დიდი სახელმწიფოების ბრძოლას ჰეგემონობისთვის, თუმდა ეს იმას სულაც არ ნიშნავს რომ ის არაფერს აღარ მოიმოქმედებს სხვა ფრონტზე - ოკუპირებულ რეგიონებში. პირიქით, სავარაუდოდ შესაძლებელია უფრო მეტი სისასტიკეც კი გამოავლინოს, რადგანაც აუცილებელია საერთაშორისო ასპარეზზე შეინარჩუნოს სტატუს ქვო.

დამოუკიდებელი ცვლადი: მზარდი ეკონომიკური კავშირი

[12] http://pubdocs.worldbank.org/en/115001560108403019/rer-41-english.pdf

თავი VI. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია

თეორიის ძირითადი ავტორების რობერტ კიოჰეინისა და ჯოზეფ ნაის აზრით ქვეყნებს შორის ურთიერთობაში არ არსებობს საკითხთა იერარქია, გამომდინარე იქედან, რომ ყველა ქვეყანა მსოფლიოში დამოკიდებულია საგარეო ვაჭრობაზე, ეკონომიკურ შესაძლებლობებეს შესწევთ უნარი, ღრმა გავლენა იქონიონ ეროვნულ და საგარეო საკითხებზე. ამ მოსაზრებას ეთანხმება ნორინ რიპსმანიც და ამბობს: „როდესაც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოთა შორის მაღალია, ალბათობა ძალის გამოყენებისა უთანხმოების მოსაგვარებლად იკლებს“. (Ripsman, 2006)

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია რობერტ კიოჰეინმა და ჯოზეფ ნაიმ ჩამოაყალიბეს ნაშრომში „ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება“, 1989 წელს. ამ თეორიის ავტორები რეალიზმს უპირისპირდებიან და მას თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების ანალიზისთვის მოძველებულ და დღესდღეობით გამოუსადეგარ კონცეფციად მიიჩნევენ. თეორიის მიხედვით თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობები გაცილებით უფრო მრავალფეროვანი პროცესია, ვიდრე რეალისტური ხედვები. მათ მიერ დაწერილი წიგნიც იწყება სიტყვებით: „ჩვენ ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ვცხოვრობთ. ეს წინადადება გამოხატავს არასაკმარისად გაცნობიერებულ, მაგრამ გავრცელებულ შეგრძნებას, რომ მსოფლიო პოლიტიკის არსი დროთა განმავლობაში იცვლება“. (Nya, 1989) ამავე თეორიის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არის იმაზე მეტად რთული, ვიდრე ომამდე იყო. ძველ დროში ურთიერთობები იწარმოებდა მხოლოდ სახელმწიფოს ლიდერებს შორის და ძალის გამოყენება მოიაზრებოდა, როგორც საშუალება ქვეყნის ლიდერებს შორის წამოჭრილი პრობლემის მოსაგვარებლად. (აკობია, 2006)

აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰ. კისიჯერმა, 1975 წელს განაცხადა: “მსოფლიო ურთიერთდამოკიდებული გახდა ეკონომიკურად, კავშირურთიერთობებითა და ადამიანების მისწრაფებებით“. დღესდღეობით ეკონომიკურმა, ტექნოლოგიურმა,

სავაჭრო, ეკოლოგიურმა და სხვა პროცესებმა მსოფლიოს ქვეყნები აიძულა ურთიერთდამოკიდებულები გამხდარიყვნენ ერთმანეთზე, ურთიერთდამოკიდებულება კი ზღუდავს ავტონომიას, სუვერენულობას. ამის მაგალითია ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობისგან, როდესაც ჰუ ძინტაო, ჩინეთის ყოფილი პრეზიდენტი იმყოფებოდა შტატებში და ბარაკ ობამასთან შეხვედრისას ისაუბრა ჩინეთ-აშშ-ს ურთიერთობებზე. სიტყვის წარმოთქმისას მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩინეთსა და აშშ-ს ხალხს შორის ურთიერთობა ფუნდამენტურ ინტერესს ემსახურება და აზია წყნარი ოკეანის მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. ძინტაოს მიხედვით, როგორც მსოფლიოში ორი დიდი ძალაუფლების მქონე ქვეყნების წარმომადგენლებმა, მათ უნდა იზრუნონ და გააგრძელონ აშშ-ჩინეთს შორის პოზიტიური, კოოპერაციული და ყოვლისმომცველი ურთიერთობების პროგრესი. (Hu Jintao Holds Talks with Obama and Raises Five Proposals to Develop China-US Relations, 2011)

როგორც ვიცით, დღევანდელი მსოფლიო ხასიათდება მრავალფეროვანი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებით და ძალის გამოყენება აღარ განიხილება, როგორც პრობლემის მოგვარების ძირითადი ატრიბუტი. ამ თეორიის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში სუვერენული სახელმწიფო უნიტარულ მონაწილეს არ წარმოაგდენს, მათი ურთიერთობები ერთმანეთთან კი მრავალმხრივია და გამომდინარე აქედან, სამხედრო უსაფრთხოება არ არის სულ მუდამ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. პირველ რიგში ხშირად წამოწეულია ეკონომიკური, კეთილდღობის, ეკოლოგიური პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო დაპირისპირებით შეუძლებელია. (რონდელი, 2006)

კომპლექსური ურთიერთდამოიდებულების თეორიის თანახმად, სახელმწიფოთა ურთიერთობები მრავალმხრივია და ისინი სხვადასხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული და მუდმივი იერარქიულობა რომელიმე კონკრეტული საკითხისადმი არ შეიმჩნევა. რობერტ კიოჰენისა და ნიას აზრით სამხედრო უსაფრთხოება არ არის ყოველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა. ამიტომაც დღევანდელ სამყაროში ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების

ცნებები თავიანთ ტრადიციულ მნიშვნელობას ჰკარგავენ ან ახალ შინაარსს იძენენ. გამომდინარე აქედან, პირველ ადგილზე ხშირად განიხილება ქვეყნის ეკონომიკური, ეკოლოგიური თუ კეთილდღეობის პრობლემები, რომელთა გადალახვა სამხედრო ძალის გამოყენებით უბრალოდ შეუძლებელია. (Nya, 1989) ნაშრომში განხილული აშშ-ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობებისგან გამომდინარე, ჩანს, რომ სავაჭრო კავშირები უფრო მაღლა დგას ვიდრე სოლარული პანელების დაპირისპირება, რომელიც 2011-2012 წლებში მოხდა და ორ ქვეყანას შორის სერიოზული დაპირისპირების მიზეზი გახდა, აშშც და ჩინეთიც ერთმანეთს არაკეთილსინდისიერი სავაჭრო მიდგომების გამოყენებაში ადანაშაულებდნენ, რამაც ორად გაყო საზოგადოების აზრი ან თუნდაც გლობალურ საფინანსო კრიზისში ჩინელების მხრიდან შეერთებული შტატების დადანაშაულება, რადგან მზარდი ვაჭრობა და სარგებელი ორმხრივი უფრთიერთობისგან ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე სამხედრო დაპირისპირება ან სავაჭრო ურთიერთობის გაფუჭება. როგორც რობერტ გილპინმა აღნიშნა, ორმხრივი ურთიერთობები და საერთო ინტერესები არბილებენ ქვეყნების ეგოცენტრულ ქცევებს, გამომდინარე აქედან რაც უფრო ძლიერი და ფართომაშტაბიანია ეკონომიკური კავშირები მით უფრო ძნელია პოლიტიკური უთანხმოების გამო მათი გაწყვეტა. (Giplin, 2001)

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება შესაძლოა დაიყოს შემდეგნაირად:

1. საკითხთა შორის იერარქიის არ არსებობა
2. სამხედრო ძალის უპირატესობის დაღმასვლა
3. ურთიერთობის მრავალი არხი ქვეყნებს შორის (Nya, 1989)

რუსეთსა და ჩინეთს დროებით ის დარჩენია, რომ მოიკრიბონ ძალები, ხოლო მეტოქეების ჩამოშორების შემდეგ, სავარაუდოდ ერთმანეთში გადაწყვეტენ მათთვის სასურველი სცენარის განვითარებას.2019[13] წლის 14 მაისს საკმაოდ საინტერესო ფრაზამ გაიჟღერა, რომელიც ეკუთვნის დიმიტრი ფორსაკოვს (მწერალი, საბჭოთა ისტორიის მკვლევარი, რუსეთის საგარეო პოლიტიკის ანალიტიკოსი) „ ჩინეთი და რუსეთი, არ არიან ეკონომიკურად თანასწორები, თუმცა ამერიკასთან სავაჭრო ომის

[13] https://www.scmp.com/comment/insight-opinion/article/3009679/china-and-russia-arent-economic-equals-thanks-us-trade-war

წყალობით, მათი მეგობრობა საკმაოდ მყარდება“. პრიმაკოვისა და ფორსაკოვის განცხადებები, მართლაც რომ ნათლად ასახავს კრემლის ინიციატივას, დააბალანსონ შეერთებული შტატები და ევროპა.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულება ჩემი აზრით საკმაოდ ნათლად ასახავს რუსეთ-ჩინეთის უერთიერთობას. ორივე მხარე შესანიშნავად აანალიზებს იმ ფაქტს, რომ დღეს-დღეობით, პირდაპირ ფართომასშტაბანი ომი, ღია დაპირისპირება ვერ მოიტანს იმ შედეგს, რაც მათ სურთ. თუკი ადრე ქვეყნები ერთიანდებოდნენ მხოლოდ, იმიტომ, რომ გაეზარდათ სამხედრო პოტენციალი, დღეს ერთიანდებიან იმიტომ, რომ მოახდინონ ეკონომიკური შესაძლებლობების მაქსიმიზაცია , რადგან ახლა ეს გაცილებით ეფექტურია. ომის შესაძლოა წარმოიშვას მხოლოდ 2 სახელმწიფო შორის, რომლის დამანგრეველი ძალაც, იმოქმედებს მეტ წილად მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეებზე, თუმცა ეკონომიკა, გამოირჩევა თავისი ჯაჭვური რეაქციით, რომელიც გაცილებით ფართო მასშტაბებზე არის გათვლილი და რომელსაც ბევრად მეტი ზიანის მიყენება შეუძლია ქვეყნისთვის. რუსულ-ჩინური ეკონომიკას გამოარჩევს ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტი, რაც ჩემი აზრით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კრემლისთვის. მართალია დღეს ყველა ქვეყანა ყველა ქვეყანასთან ვაჭრობს, და გამონაკლისი არც რუსეთია. უცნობი ფაქტი არავისთვის არ არის ის, რომ რუსეთი ცდილობს მონოპოლია მოიპოვოს ნავთობსა და გაზზე. ამისთვის ის ზოგიერთ შემთხვევაში ძალის დემონსტრირებითაც კი აღწევს თავის საწადელს, მაგალითად ჯეიჰანის ნავთობსადენის დამთავრების შემდეგ, რუსეთი ძალიან გააღიზიანა ამ ფაქტმა, საპასუხოდ მან შექმნა ყაზახეთი-რუსეთის ნავთობსადენი, სადაც რუსეთი ყიდულობდა მისგან და ყიდდა 2-ჯერ ძვირად. რუსეთმა ასევე აიძულა ალიევი (აზერბაიჯანის პრეზიდენტი) რომ ნავთობსადენის ერთი ტოტი მაინც გასულიყო რუსეთის გავლით, აღდგენილიყო ბაქო-ნოვოროსიისკის (რუსეთის ნავსადგური შავ ზღვაზე) ნავთობის კრიზისის შემდეგ კი რუსებმა ხელი მოაწერეს ბულგარეთთან და საბერძნეთთან ახალი ნავთობსადენის მშენებლობას, რომელიც იქნებოდა ბურგას-ალექსანდროპოლის მილსადენი -

პირდაპირ ევროპაში, ამით ის მოიპოვებდა საკმაოდ დიდ გავლენას ევროპის რეგიონში, თუმცა ყირიმის ანექსიის შემდეგ ეს პროცესი ჯერ შეჩერდა, ხოლო საბერძნეთმა და ბულგარეთმა შემდგომ საერთოდ უარი განაცხადეს ამ პროექტზე. გაზზე მონოპოლიის კიდევ ერთი მაგალითია „ცისფერი ნაკადი“ რომელიც ნოვოროსინსკიდან გადის შავი ზღვის ფსკერზე 240 კმ-ზე, და რომელიც მიემართება თურქეთის ქალაქ სამსუნამდე. ამით რუსეთმა თურქეთს პირდაპირ მიაწოდა გაზი, ხოლო აქედან კი პირდაპირ ევროპას. ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია რუსეთის კიდევ ერთი პროექტი „ჩრდილოეთის ნაკადი“ (მთავარი მომხმარებელი ქვეყანა კი გერმანიაა) რომლის სიგრძე 1700კმ-ია, ეს არის წყალქვეშა გაზსადენი ბალტიის ზღვიდან გერმანიამდე. მართალია დღეს მთლიანია ევროპა გარკვეულწილად აცნობიერებს იმას, თუ რამდენად არიან ისინი დამოიკიდებულნი რუსულ ბუნებრივ რესურზებზე, მაგრამ რუსებიც მშვენივრად აცნობიერებენ იმას, რომ ეს მათი ძირითადი ბერკეტია მათ წინააღმდეგ, და ღიად ამ „ბერკეტის“ გამოყენებას მაინც თავს არიდებენ. სამაგიეროდ იგი უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ჩინეთზე, ვიდრე ჩინეთი მასზე. ეს გარკვეულწილად წააგავს აშშ-ჩინეთის სცენარს, სადაც თითქოს ვერავინ ივარაუდებდა იმას, რომ ერთ მშვნეიერ დღეს ტრამპი გამოვიდოდა ჩინეთის მზარდი ეკონომიკის წინააღმდეგ, ტარიფებისა და ქვოტების ხელახალმა დადგენამ, კი უცაბედად გამოიწვია 200 მილიარდის ღირებულის ზარალი, ჩინეთის მხრიდან. რუსეთი თანდათან უფრო მეტად დამოკიდებული ხდება ჩინეთზე, მაშინ როდესაც ჩინეთი რუსეთს მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთ პარტნიორად, „ბერკეტად“ განიხილავს მას. ამის არგუმენტი შესაძლოა იყოს ბევრი ქმედება, თუმცა შევეცდები გამოვყო რამდენიმე ძირითადი ასპექტი : „ერთი სარტყელი ერთი გზა“ - აბრეშუმის გზის ეკონომიკური კორიდორი ფორმირების პროცესი, რაც მოიცავს თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური ზონების შექმნას, ერთიანი საგზაო ქსელების მშენებლობას, ამ პროექტში ჩართულ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას. აღსანიშნავია რომ ამ ფართო მასთაბიანი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ამ ეკონომიკური კორიდორის გასწვრივ, მცხოვრების ადამიანების რაოდენობა გადააჭარბებეს 3 მლრდს. შესაბამისად მასშტაბები და პოტენციალი, ახალი პროექტის

ფარგლებში წარმოქმნილი ბაზრებისა, იქნება უპრეცედენტო და უნიკალური. აბრეშუმის გზას ექნება სამი მიმართულება:

1) პირველი გზა გაივლის ჩინეთიდან ცენტრალური აზიას, რუსეთსა და ევროპას ბალტიისპირეთამდე

2) მეორე გზა გაივლის ჩინეთიდან ცენტრალური აზიის გავლით სპარსეთის ყურეში, ხმელთაშუა ზღვამდე დასავლეთ აზიის ჩათვლით

3) მესამე გზა გაივლის ჩინეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიასა და ინდოეთის ოკეანემდე.

ამ ყველაფრის განსახორციელებლად ჩინეთმა შექმნა აბრეშუმის გზის ფონდი, რომლის საწყისი კაპიტალი 40 მლრდ. - ია. ამ ფონდის მიზანია შეისწავლოს ამა თუ იმ ქვეყანაში ინფრასტრუქტურული პროექტები და დააფინანსის ესა თუ ის პროექტი. როგორც ვხედავთ, მხოლოდ რუსეთი არ ცდილობს მსოფლიოს თავისი გავლენა მოახვიოს წყალქვეშა გაყვანილი მილებით და მოიპოვოს მონოპოლია. აბრეშუმის გზის განხორციელების შემთხვევაში, კითხვაზე ჰეგემონობა თუ ბრძოლა ტერიტორიული გაფართოებისთვის პასუხი თანდათან გამოიკვეთება და ჩემი აზრით ეს უკვე დაემსგავსება ბრძოლას ჰეგემონობისთვის. ჩინეთის ამბიცია, იყოს ლიდერი ამ წამოწყებაში, ნიშნავს იმას, რომ ის მოიცავს იმაზე გაცილებით მეტ ქვეყანასა და ადამიანს, ვიდრე რუსეთი, მისი გავლენა უფრო მეტად გაიზრდება მსოფლიოზე და დამოკიდებულებაც შეიცვლება. მართალია ამ პროექტით ჩინეთის სხვა ქვეყნებსაც აძლევს საკამოდ დიდ გასაქანსა და ეკონომიკურ პოტენციალს, თუმცა, მისი როლი რომ კოლოსალური იქნება ჩემი აზრით ეს ეჭვგარეშეა და ის ფაქტი რომ ის მიიღებს ყველაზე დიდ მოგებას ამით ესეც ეჭვგარეშეა. კითხვაზე, თუ რა რჩება რუსეთს, როგორ შეძლებს ის ამის შემდეგ ჩინეთის შეკავებას, პასუხი საკმაოდ რთული გასაცემია, შესაძლოა მანაც ამჯობინოს „აუტსაიდერის“ როლის თამაში და იხელმძღვანელოს მოდელსკის „გრძელი ციკლების“ თეორიის მიხედვით, სადაც ყველა ქვეყანა გადის ერთნაირ ფაზებს, რომელიც იწყება ომით, (ამ შემთხვევაში არა პირდაპირი, არამედ ეკონომიკური ომი) გრძელდება ერთი ქვეყნის გამარჯვებით, დომინანტობით, ახალი სივრცეებისა და ტერიტორიების ათვისებით, შემდეგ კრიზისითა და საბოლოოდ უკვე ახალი მმართველი ძალის გამოჩენით. თუმცა

ციკლების თეორიას ერთი თავისებურება ახასიათებს, იმისათვის რომ ეს ყველაფერი დაიწყოს, განვითარდეს და დასრულდეს, ამისთვის მოდელსკი საზომ ერთეულად იღებს 100 წელს, რაც საკმაოდ დიდი დროა იმისთვის, რომ სხვა ქვეყნებმა არაფერი მოიმოქმედონ. აბრეშუმის გზის განხორციელება, სახიფათოა არამხოლოდ რუსეთისთვის, არამედ ჩემი აზრით უფრო მეტად პრობლემატური იქნება ამერიკისთვის, სადაც ის, მხოლოდ და მხოლოდ დამკვირვებლის როლს მოირგებს და მხოლოდ შორიდან ადევნებს თვალყურს მიმდინარე პროცესებს, თანაც ამ პროცესებში აღსანიშნავია, რომ ერთი გზა რუსეთზეც გადის, რაც უფრო მეტად არასასიამოვნოს ხდის ფაქტს.

ჩინეთის მიერ ამგვარი ინტენსივობის მქონე ურთიერთობები მსოფლიოსთან, შესაძლოა ცუდად დასრულდეს არა მხოლოდ რუსეთისთვის (ციმბირის დაკარგვით) არამედ თუკი იგი მოისურვებს თავისი ტერიტორიების გაფართოებას, მას იდეალურად შეეძლება ამ კოზირის სათავისოდ გამოყენება, რაც მას კიდევ უფრო მეტად გაუმყარებს ჰეგემონის სტატუსს არამხოლოდ რეგიონში, არამედ მთლიან მსოფლიოშიც კი, თუმცა ეს ვარაუდი, რომ ჩინეთი დამოკიდებულებას გამოიყენებს, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სუბიექტური აზრია.

თუკი რუსეთს გააჩნია მანიპულირების საშუალება სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებით, ჩინეთი აბსოლუტურად განსხვავებულ პოლიტიკას მიმართავს. ისინი მზად არიან უფრო სიღრმისეულად მოეკიდონ მსოფლიოსთან ინტეგრაციის პროცესს, ამისათვის კი ისინი მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში იწყებენ ღრმა და ყოვლისმომცველ ურთიერთობებს. პეკინი არ იშურებს ძალისხმევას აფრიკის კონტინენტის მაქსიმალურად ათვისების მიზნით. სანამ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოები მსჯელობენ, თუ როგორც ჩამოაყალიბონ აქტიური პოლიტიკური, ეკონომიკური და საქმიანი კონტაქტების მექანიზმები აფრიკასთან, ჩინეთი თანმიმდევრულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით. ოფიციალური პეკინი არა მარტო იყენებს, აფრიკის ბუნებრივ რესურსებს, არამედ მიზანმიმართულად ქმნის საკუთარი საქონლისა და მომსახურების ბაზრებს ,,შავ კონტინენტზე''. თამამად შეიძლება ითქვას, ჩინეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტზე, აფრიკასთან დაკავშირებით.

თავი7. ჩინეთ აფრიკის ურთიერთობები

ჩინეთსა და აფრიკას შორის თანამედროვე ურთიერთობების საფუძვლად შეიძლება ჩაითვალოს 1955 წლის აპრილი, როდესაც ინდონეზიის ქალაქ ბანგუგში გაიმართა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია. მაშინდელი ჩინეთის პრემიერ-მინისტრმა ჭოუ ენლაიმ გამართა შეხვედრები აფრიკული ქვეყნების (ეგვიპტე, ეთიოპია, ლიბია, სუდანი, ლიბერია, განა) ლიდერებთან. სწორედ აღნიშნული კონფერენციის შემდეგ, დაიწყო პრაქტიკული თანამშრომლობა ჩინეთსა და აფრიკის სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ეგვიპტე გახდა პირველი სახელმწიფო კონტინენტიდან, რომელმაც 1956 წელს დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები ჩინეთთან. დროთა განმავლობაში აფრიკული ქვეყნების რიცხვმა, რომლებმაც დაიწყეს დიპლომატიური კონტაქტების დამყარება პეკინთან დაიწყო სისტემატური ზრდა, მაგრამ სამოციან წლებში ჩინეთში დაწყებულმა ,,კულტურულმა რევოლუციამ'' და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაუარესებამ, ჩინეთ-აფრიკის თანამშრომლობის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი.

ჩინეთის გახსნილობისა და რეფორმების პოლიტიკამ, ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში კარდინალურად შეცვალა ვითარება ამ მიმართულებითაც. მაშინ როდესაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და შეერთებეულ შტატებს ყურადღება ჰქონდა გადატანილი ახლო აღმოსავლეთის რეგიონზე, ჩინეთმა ,,იხელთა დრო'' და დაიწყო პრაქტიკული თანამშრომლობის გაღრმავება აფრიკის სახელმწიფოებთან. ჩინეთი არ მალავს, რომ ისევე როგორც დასავლეთს, მათთაც ესაჭიროებათ ,,შავი კონტინენტის'' ბუნებრივი რესურსები, მაგრამ დასავლეთისგან განსხვავებით პეკინმა გასცა შეღავათიანი კრედიტები მთელ რიგ აფრიკულ ქვეყნებზე, ისე, რომ სანაცვლოდ არ წამოუყენებია პოლიტიკური მოთხოვნები. შედეგად, ჩინეთი მარტივად ამყარებს სტრატეგიულ-პარტნიორულ კავშირებს აფრიკის ქვეყნებთან, მათ შორის იმ სახელმწიფოებთან, რომლებთანაც დასავლეთში მიაჩნდათ დიქტატორ რეჟიმებად და ცდილობდნენ მათ იზოლირებას.

აფრიკული სახელმწიფოების ლიდერები ანიჭებდნენ ჩინელებს პრიორიტეტულ უფლებებს ნახშირწყალბადის მნიშვნელოვანი საბადოებისა და სასარგებლო

წიაღისეულის ასათვისებლად. პარალელურად, ჩინეთმა ამ კონტინენტის იარაღის ბაზარზეც გაიმყარა საკუთარი პოზიციები.

ჩინეთის სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა საჭიროებს სხვადასხვა ბუნებრივ რესურსებს, მათი ინტერესის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია ,,შავ ოქროს''. ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორები გახდნენ ნავთობის მწარმოებელი ისეთის ქვეყმები როგორიცაა, ალჟირი, ანგოლა, ნიგერია, გაბონი, სუდანი. მარტო სუდანში ჩინეთმა მოახდინა 20 მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია. პეკინს სურდა ამ აფრიკული ქვეყნის მთელი ნავთობ საბადოები საკუთარი კონტროლის ქვეშ მოექცია, მაგრამ ამ ჩანაფიქრმა კრახი განიცადა. სუდანი სამოქალაქო ომის შედეგად გაიყო ორ ნაწილად და დღესაც ეს ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების პირას იმყოფება.

ექსპერტთა გარკვეული წრეები მიიჩნევენ, რომ შეერთებული შტატებისა და დასავლეთის მიერ სუდანის ორად გაყოფის ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ ჩინეთის გეგმის ხელის შეშლა გახლდათ.

მსგავსი სიტუაცია შეიმჩნეოდა ლიბიაშიც. ჩინეთმა იქ 18 მილიარდამდე აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, ამ ქვეყანაში მუშაობდა საქმიანობდა 75-მდე ჩინური მსხვილი კომპანია. კადაფის რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებულმა კამპანიამაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ოფიციალური პეკინის გეგმებში ლიბიასთან დაკავშირებით. დღესდღეობით აფრიკაში ჩინეთის ყველაზე მნიშვნელოვანი პარტნიორია ანგოლა. ანგოლის ეკონომიკის აღდგენისთვის 2005-2010 წლებში, პეკინმა საერთო ჯამში გასცა 4 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის შეღავათიანი კრედიტი. საგულისხმოა, რომ ანგოლას კრედიტის დაფარვა დაეკისრა არა ფულით,არამედ ნავთობით. (მსგავს სქემას ჩინეთის სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაშიც იყენებს, მაგალითად ვენესუელასთან). ცნობილი აფრიკული კორუფციული სქემების თავიდან აცილების მიზნით ხელმოწერელი შეთანხმებების მიხედვით, ყველა ინფრასტრუქტურული სამუშაოები ქვეყანაში ჩინურმა კომპანიებმა უნდა განახორციელონ. ფაქტია, რომ ჩინეთი არა მარტო ღებულობს რესურსებს აფრიკიდან, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ ქვეყნების განვითარების საკითხშიც.

2013 წლის მონაცემებით, ჩინეთში იმპორტირებული ნავთობიდან 30 პროცენტიანი წილი აფრიკის კონტინენტს ეკუთვნის. ჩინეთის ეკონომიკური "ექსპანსიაზე" აფრიკაში მეტყველებს სტატისტიკა: 1995 წელს ჩინეთის სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვის მოცულობა "შავი კონტინენტის სახელმწიფოებთან შეადგენდა 6 მილიარდ აშშ დოლარს, 2014 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 150 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა.

ჩინეთის თვალსაჩინო წარმატებები აფრიკის მიმართულებით სერიოზული განსჯის საგანია შეერთებულ შტატებში და დასავლეთში. როგორ კრიტიკულადაც არ უნდა უყურებდნენ ვაშინგტონში და ბრიუსელში ჩინეთის პოლიტიკას აფრიკულ სახელმწიფოებთან მიმართებაში, ფაქტია, რომ ოფიციალურმა პეკინმა მკაფიოდ ,,გააგებინა" დანარჩენ მსოფლიოს, რომ მათი ყოფნა ,,შავ კონტინენტზე" წარმოადგენს, როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს, ასევე გრძელვადიან პერსპექტივას.

თავი 8. ჩინეთი და სამხრეთ ამერიკა

ჩინეთისთვის სამხრეთ ამერიკა, არა მარტო ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი წყაროა, არამედ პოტენციური მოკავშირე, ამ რეგიონში ამერიკის შეერთებულ შტატების ინტერესების გატარების წინააღმდეგ.

ლათინურ ამერიკაში ჩინეთი მოიპოვებს ნავთობს და სპილენძს, ჩინური კომპანიები მათივე მთავრობის მიერ რეგიონის ქვეყნებისთვის გამოყოფილი შეღავათიანი კრედიტების ფარგლებში, აშენებენ ჰიდროელექტროსადგურებს, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებს. ყველა სიკეთესთან ერთად, ჩინეთი გამოთქვამს მზადყოფნას შექმნას ახალი მარშრუტი, ატლანტიკის ოკეანიდან, წყნარ ოკეანამდე, რაც იქნება პანამის არხის ალტერნატიული ვარიანტი. ამავე დროს, პეკინი არ ცდილობს საკუთარი პოლიტიკა მოახვიოს რეგიონის ქვეყნებს, რაც ხელს უწყობს მას ადგილობრივ ელიტასთან ურთიერთსასარგებლო კავშირების ჩამოყალიბებაში. შედეგად, ლათინური ამერიკა, თანდათანობით გადადის ჩინეთის გავლენის სფეროში მთავარ ბერკეტს, რომელსაც ჩინეთი იყენებს ამ რეგიონში წარმოადგენს ვაჭრობა და შეღავათიანი კრედიტები. 2000-2013 წლებში ჩინეთის სავაჭრო

ეკონომიკური ბრუნვის მოცულობა ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან გაიზარდა 20-ჯერ, 12 მილიარდ აშშ დოლარიდან - 262 მილიარდ აშშ დოლარამდე. ცალმხრივი ეკონომიკური ორიენტაცია სამხრეთ ამრიკის ქვეყნებისა აშშ-ს მიმართულებით ჩაბარდა წარსულს. 2005 წლიდან პეკინმა აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოებს, კრედიტის სახით გამოუყო 50 მილიარდი აშშ დოლარი. მაგალითისთვის არგენტინაში წარმოიქმნა ცალკე მიმართულება, რომელიც ორიენტირებულია ჩინეთის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რაც ითვალისწინებს სოიოს მოსავლის ზრდას და მისგან პროდუქტების დამზადებას.

ბრაზილიაში, არგენტინტაში, ჩილეში და კუბაზე ათასობით ჩინელი ინჟინრები და მშენებლები ჩართულნი არიან სხვადასხვა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში. ჩინეთის "სიჩანის" კოსმოსური სადგურიდან 2008 წლის ოქტომბერში, პირველად ვენესუელის ისტორიაში, გაშვებულ იქნა თანამგზავრი "სიმონ ბოლივარი", რომელიც აებულ იქნა სად, თუ არა ჩინეთში. კოსმოსით ათვისების სფეროში პეკინის აქტიურად თანამშრომლობს ბრაზილიასთან. ტელესაკომუნიკაციო გიგანტი "ჰუავეი" რეგიონის ბაზარზე წამყვან პოზიციებს იკავებს.

ოფიციალური პეკინის ინტერესის ზრდა, ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართულებით 2000 წლებიდან იღებს სათავეს. აღნიშნული გამოწვეულ იქნა, ენერგეტიკულ რესურსებზე ჩინეთის ეკონომიკის მზარდი მოთხოვნებით.

მიუხედავად, მხარეთა შორის თანამშრომლობის შთამბეჭდავი მასშტაბებისა, ჩინეთის ხელისუფლებისთვის სამხრეთ ამერიკა, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს ნედლეულის მომწოდებელს და არა უპირობო თანამოაზრეს, მთელ რიგ საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებში.

20014 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამხრეთ ამერიკული ტურნეს დროს ესტუმრა ბრაზილიას. ვიზიტის ფარგლებში, ის დაინტერესდა ბრაზილიაში სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობით ფეხბურთით და ერთ-ერთ საფეხბურთო მატჩსაც დაესწრო, სადაც ციტირება მოახდინა ფეხბურთის მეფედ აღიარებული პელეს ცნობილი ფრაზისა "ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი - შემდეგი გოლია". საკმაოდ მრავლისთქმელია ჩინეთის პირველი პირის ეს განცხადება და

გარკვეულწილად გამოხატავს პეკინის გრძელვადიან ინტერესებს სამხრეთ ამერიკის რეგიონში.

მაშინ, როდესაც ჩინეთი აღწევს თავისი შესაძლებლობების მაქსიმიზაციას, პარალელურად რუსეთი ყოველთვის ახერხებს იყოს მუდმივი ქაოსის ქვეშ, რაც ხშირ შემთხვევაში ნეგატიური პოლიტიკით, ან სანქციებით მთავრდება მის წინააღმდეგ. იმის მაგივრად, რომ რუსეთმა თავისი მიზნების მისაღწევად, გააძლიეროს თავისი ეკონომიკა, რათა შემდგომში შეძლოს დამპყრობლური პოლიტიკის წარმოება, ის საპირისპიროს აკეთებს მუდამ. მაგალითად[14] როდესაც მათ, სირიაში ცეცხლი გაუხსნეს ჰუმანიტარულ ტვირთს, რომელიც გადაჰქონდა თურქეთს, თურქეთმა ამის სანაცვლოდ ჩამოაგდო რუსული თვითმფრინავი. ამ ყველაფრის შედეგი იყო ბოსტნეულის ექსპორტის შეწყვეტა თურქეთის მხრიდან და მათთვის უვიზო რეჟიმის გაუქმება. (რომ აღარაფერი ვთქვათ აწ უკვე მანამდე არსებულ ემბარგოებზე, რომელიც ჯერ 2008 წ. საქართველოსთან ომის დროს, შემდეგ კი 2014 წ. ყირიმის ანექსიის დროს დაემატა) ძირითადი საბრძოლო ფრონტი არა ჰაერსა თუ ხმელეთზე, არამედ ის პირდაპირ ინტეგრირებულია ეკონომიკაში. ჩინეთის განვითარბის პარალელურად, რუსეთს ევროკავშირმა დაუწესა მთელი რიგი სანქციებისა : გაუქმდა ვიზების გაცემა, კონკრეტულ ადამიანებს გაეყინათ ანგარიშები, კონკრეტულ კომპანიებს კი მიადგათ სპეციალურად მათთვის განკუთვნილი სანქციები (ალუმინის, რკინის ქარხნები და ასე შემდეგ). გაერომ თავისთავად დაადო რამდენიმე დეკადიანი სანქცია.

ჩემი აზრით, თუკი შევეცდებით რუსეთის მოქმედებებიდან რაიმე ლოგიკის დანახვას, საკმაოდ ნათელია მათი განზრახვა. იმის გამო რომ, მიმდინარე წლებში ისინი განიცდიან საშინელ კრიზისს, რისი მაგალითიც ასევე არის ყოველწლიურად შემცირებული სამხედრო ხარჯები. იგი შედიოდა იმ ტოპ ხუთ ქვეყანაში, რომელთა თავდაცვის ხარჯებიც იყო კოლოსალური. 2018წ. მათ შეამცირეს 2.6 % - ით. პირველ ადგილზე სამხედო ხარჯებით არის აშშ, ჩინეთი, საუდის არაბეთი, ინდიოეთი და საფრანგეთი.[15] ამ არგუმენტზე დაყრდნობითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთს,

[14] https://www.ecfr.eu/europeanpower/geoeconomics
[15] https://www.cnbc.com/2019/04/29/russia-drops-out-of-top-5-global-military-spenders.html

ახლა არ გააჩნია იმის შესაძლებლობა, რომ დამოუკიდებლად შეეჭიდოს მსოფლიოს, წამოიწყოს ხელახლა, ფართო მასშტაბიანი, ხანგრძლივი დამპყრობლური პოლიტიკა, რაც მის ეკონომიკას კიდევ უფრო მეტ ზიანს მიაყენებს და საბოლოო ჯამში შესაძლოა ამ ყველაფერმა სრულ კოლაფსამდეც კი მიიყვანოს, სწორედ ამიტომ მისთვის ყველაზე ოპტიმალური და „გამოსადეგარი მეგობარი“ არის ჩინეთი, რომელთაც რათქმაუნდა წლების წინ კომუნიზმი აერთიანებდათ. გადაჭრით სავარაუდოდ ვერ ვიტყვით რომ ეს დღესაც ასეა, თუმცა ამ ორი ქვეყნის პოლიტიკაში მაინც ნათლად აისახება სოციალიზმის ღრმა კვალი. ერთი მხრივ ჩინეთი რუსეთისთვის არის დამბალანსებელი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. იქიდან გამომდინარე რომ მას ახლა არ შესწევს ძალა, იგი თანახმაა წავიდეს დათმობებზე, გააკეთოს თუნდაც ისეთი უპრეცედენტო განცხადებები, რომელიც ხოტბა შეასხას მას.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ნავთობზე ფასებს ზრდის დასავლეთისთვის, ის მაინც კვლავ შეუპოვრად იცავს შედარებით შეღავათიან ფასებს ჩინეთთან. რუსეთი თითქმის გახდა კიდეც, ჩინეთის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი. ისინი ცდილობენ ერთობლივი ძალებით დაალაგონ არეული გეოპოლიტიკური ვითარება მსოფლიოში - სავაჭრო ომი აშშ-თან.

დასკვნა

ჩინეთი, რუსეთის მსგავსად ძალიან სწრაფად ცვალებად სტრატეგიულ გარემოში იმყოფება. მოსკოვი იძულებულია შეეგუოს ჩინეთის გამალებულ სამხედრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ წინსვლას და მის სულ უფრო მზარდ ამბიციას არა მარტო რეგიონალური, არამედ გლობალური მასშტაბითაც. დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, მხოლოდ და მხოლოდ ბირთვული ქობინებისა და ძლიერ სამხედრო

არსენალის ქონა, არ ნიშნავს იყო ჰეგემონი. საჭიროა გაგაჩნდეს შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობა, რაც თავისთავად მოგცემს განვითარების საშუალებას. ჩინეთს ამ ეტაპზე გააჩნია ეს ყველაფერი, მართლია აშშ-სთან მას საკმაოდ არეული ურთიერთობა აქვს ამჟამად, თუმცა ეს ჩემი აზრით მხოლოდ და მხოლოდ დროებით, რადგანაც ორივე მხარე აანალიზებს თავიანთ პოტენციალს. რუსეთისთვის მიმდინარე პერიოდი, არის დათმობის პერიოდი, მათი სურვილი, აღადგინონ საბჭოთა კავშირი საკმაოდ გაზვიადებულია, შესაძლოა მათ ეს განახორციელონ კიდეც, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ შემადგენლობაში კვლავინდებურად 16 სახელმწიფო შედიოდეს.

სწორი პოლიტიკის წარმოება, საყოველთაო ინტერესის ქონა, ინტეგრაცია მთლიანი მსოფლიოს მასშტაბით, ჩინეთს თანდათანობით აქცევს ძლიერ ანგარიშგასაწევ ძალად, რომელსაც უკვე ვეღარცერთი ქვეყანა ვერ აუვლის გვერდს. ჩემი აზრით, შესაძლებელია წლების წინ, რუსეთსა და ჩინეთს შორის ყოფილიყო ბრძოლა კონტინენტის ჰეგემონობისთვის, თუმცა ახლა, 2019 წელს, ეს ვითარება საკმაოდ შეიცვალა, მათ შორის ნაპრალი თანდათან იზრდება. თუკი რუსეთს სურს, რომ დაეწიოს ეკონომიკურად ჩინეთს, მას ამისთვის აქვს რამდენიმე ვარიანტი : განახორციელოს მთლიანი ქვეყნის მასშტაბით ტრანსფორმაცია, აღმოფხვრას კორუფცია, გაატაროს შესაბამისი რეფორმები და დაელოდოს რამდენიმე ათლწლეული რომ მიუახლოვდეს რამენაირად ჩინეთის ეკონომიკას, ან წამოიწყოს ისეთი ფართომასშტაბიანი ომი, რომელშიც გამარჯვების შემთხვევაშიც, ის მიიღებს იმდენად დიდ სარგებელს, რომ დაწინაურდება ავტომატურად. მეორე ვარიანტი სავარაუდოდ ნაკლებადაა მოსალოდნელი, რადგანაც ჯერ იმიტომ რომ ძალიან დიდი რისკია და ის უბრალოდ ვერ წავა ამ რისკზე, რადგანაც ეს აღარაა საბჭოთა კავშირი და მას სათანადო ძალაც არ შესწევს. რაც შეეხება ჩინეთს, მისთვის გამოწვევები ჩემი აზრით მხოლოდ ახლა იწყება, ისინი მშვიდად და აუღელვებლად მიუყვებიან გზას და ცდილობენ გაითავისონ კონფუციანისებური სიბრძნე : „ მას ვინც არ ფიქრობს შორეულ სიძნელეებზე, აუცილებლად მოელის ახლო უსიამოვნებები“.

გამოყენებული ლიტერატურა :

1) William A. Joseph – Politics in China

2)Roderick MacFARQUHAR – The Politics of China

3)Jeffry A. Frieden, David A. Lake, J. Lawrence Broz – International Political Economy

4)China-US Strategic Relations“ - Brochure, Information Office of the State Council of The

5)People`s Republic of China, 2012, Beijing;

6)Юрий Уфимцев, – «Россия и Китай расширяют отношения» "Конкурент.Ru", 2014;

7)Алексей Маслов, профессор кафедры востоковедения Высшей школы экономики

8)“Россия для Китая лишь один из рычагов развития“ - lenta.ru, 2012;

9)Zhang Baijia, Book-“The Communist Party of China and China`s Development“ 2014;

10)И.С.Целищев, – ,,ВОСТОЧНАЯ АЗИЯ: НОВАЯ ВОЛНА РОСТА И СТРУКТУРНАЯ ТРАНСФОРМАЦИЯ’’ – гл.н.с. ИНСТИТУТА МИРОВОЙ ЭКОНОМИКИ И МЕЖДУНАРОДНЫХ ОТНОШЕНИЙ РОССИЙСКОЙ АКАДЕМИИ НАУК, Москва 2013

11)Tang Guoqiang – Professor of Tsinghua University, Report - “Arctic Issues and China`s Stance“, 2013. Beijing

12)Reflection on China-US Relations, Liu Mingli - Professor of Beijing University 2014;

13)www.china.worlds.ru – November-December, 2012;

14)Department of International Affairs, Chinese Academy of Governanc, 2014;

15)www.china.org.cn - November, 2013;

16)www.Chinadaily.com.cn - December 2012, Beijing;

Игорь Денисов, Китай против откормленных и скучающих- lenta.ru, 2015

დანართი :

დანართი : 1



დანართი 2



დანართი 3


Russian Ruble Decoupled from Brent Crude Following U.S. Sanctions
12-Month Periods as of April 11
0.0185
0.0180
0.0175
0.0170
0.0165
0.0160
0.0155
0.0150
$75
$70
$65
$60
$55
$50
$45
$40
$35
$30
Russian Ruble (Left Axis)
Brent Crude Oil Per Barrel (Right Axis)
APR-2017
JUN-2017
AUG-2017
OCT-2017
DEC-2017
FEB-2018
APR-2018
Source: Bloomberg, U.S. Global Investors